

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი



მაგისტრანტი: ნინო მეგრელიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი: შეჯიბრებითობისა და მხარეთა
თანასწორობის პრინციპი სამოქალაქო პროცესში

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი: გიორგი ლილუაშვილი

თბილისი 2020

ანოტაცია

შეჯიბრებითობა და მხარეთა თანასწორობა ქართულ და არამართო ქართულ სამართალწამორებაში უმნიშვნელოვანეს პრინციპებს წარმოადგენენ. ნაშრომში განხილულია კონკრეტულად, როგორ და რა ეტაპზე ხდება ზემოხსენებულის დაცვა და გატარება.

სამეცნიერო ნაშრომებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი განხილვა-განმარტებას. თუმცა, რომელია ყველაზე სრული და ჭეშმარიტი ამაზე რთულია გადაჭრით რაიმეს თქმა.

კანონმდებლობით განსაზღვრულია ამ პრინციპების ადგილი. სისტემაში მათ რამდენად დიდი ფუნქცია აქვს მინიჭებული, ამას არაერთი საერთაშორისო კვლევა თუ სტატისტიკური მონაცემები ადასტურებენ.

მათი არსებობა სამართლის ყოველ დარგში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ისინი დემოკრატიული სამართლის ქვაკუთხედს წარმოადგენენ. პრაქტიკამ ცხადყო, თუ რამდენად დიდ როლს ასრულებს საკანონმდებლო სისტემაში ეს ორი პრინციპი, რომელსაც ცალკეულ თავებში დეტალურად განვიხილავთ.

ნაშრომში ცალკეული მაგალითების საფუძველზე ნათლად არის გადმოცემული ამ პრინციპების როლი სამართლის ცალკეულ დარგებში, როგორცაა სისხლის სამართლის, სამოქალაქო, და ადმინისტრაციულ სამართალში.

კვლევის ძირითად მიზანია დაგვანახოს ამ ორი ფუნდამენტური პრინციპის მნიშვნელოვნება, თუ რამდენად აისახება ცალკეულ სამართლებრივ ურთიერთობებზე. კონკრეტულად, სასამართლოს როლი რამდენად მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია ამ პრინციპების გატარებაში. შეიძლება ითქვას, რომ მთავარ მამოძრავებელ ღერძსაც კი წარმოადგენს.

ამდენად, ამ ფუნქციის, როგორც ერთ-ერთი მთავარი გამტარებელის - სასამართლოს საქმიანობასაც შევხებით.

Annotation

The principle of adversarial and equality of parties in the civil process

Nino Megrelishvili

Adversarial and equality of parties in the Georgian and not only Georgian law are the most important principles. In the topic Discuss how and at what stage they are protected and processed. The discussion and explanation of the above mentioned have a great place in the scientific papers. However, which is the most complete and true about it is difficult to say with certainty. The legislation defines the place of these principles. Much international research and statistical data confirm how much function they have been given in the system. Their existence is vital in every field of law. They are the cornerstone of democratic law. The practice has shown how important these two principles are in the legislative system, we will discuss in detail in certain chapters. The topic clearly illustrates the role of these principles in certain areas of law, based on individual examples, such as criminal, civil, and administrative law. The main objective of the research to show us the importance of these two fundamental principles, As well as how it affects individual legal relations. Specifically, the role of the court is important and decisive in the implementation of these principles. It can be said that it is even the main driving axis. We will discuss the activities of the court as the main conductor of this function.

სარჩევი

გამოყენებული აბრევიატურის ჩამონათვალი	6
შესავალი	7
თავი I	
1.1 შეჯიბრებითობა და მხარეთა თანასწორობა , როგორც სამართლის უმთავრესი პრინციპი ქართულ სამართალწარმოებაში	13
1.1.1. სამოქალაქო პროცესში თავსებადობა პრინციპის თეორიული საფუძვლებთან	14
თავი II	
2.1. სასამართლოს ფუნქციის და როლის განსაზღვრა	19
2.1.1 მოსამართლის ფუნქციური შესაძლებლობა და როლი სასარჩელო წარმოების ეტაპზე (განხილვა გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ცვლილებების მაგალითზე)	21
2.1.2 საქმის განხილვის ეტაპზე სასამართლოს ინიციატივის ფარგლები	27
2.1.3 საქმისწარმოების დაჩქარება, მხარეთა შორის ბალანსი და სამართლებრივი ფუნქციის განსაზღვრა	29
2.2 მოსამართლის როლის განსაზღვრა და მისი ფარგლები	31
2.2.1 მოსამართლის აცილების საფუძვლები	31
2.2.2. მიუკერძოებელი სასამართლო და ბანგალორის სამოსამართლო ქცევის პრინციპები	33
თავი III	
3.1 შეჯიბრებითობის პრინციპი და მასთან დაკავშირებული გამონაკლისები ...	36
3.1.1 სასამართლოს როლი და ფუნქცია საოჯახო-სამართლებრივი დავების განხილვისას.....	36

თავი IV

4.1. სასამართლოთა ოფიციალური სტატისტიკა მორიგებით დასრულებულ
დავებთან მიმართებაში39

თავი V

5.1 ინკვიზიციური სამართალი და მისი გავლენა უცხოურ სამართალში42

5.1.1. ანგლოამერიკული პროცესი და მისი მახასიათებლები 42

5.1.2. კონტინენტურ-ევროპული და ანგლოამერიკული სამართალწარმოების
შედარება46

დასკვნა 49

ბიბლიოგრაფია52

გამოყენებული აბრევიატურის ნუსხა

სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
სსსკ	საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
გსსკ	გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
იხ.	იხილე
მაგ.	მაგალითად
ე.ი.	ესე იგი
პარა.	პარაგრაფი
მუხ.	მუხლი
შეად.	შეადარე
გვ.	გვერდი
ე.წ.	ეგრეთ წოდებული
აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები
No.	Number
Para.	Paragraph
Art.	Article
Vol.	Volume
BGB	German Civil Code
(ZPO)	Zivilprozessordnung – German Code of Civil Procedure
(GIZ)	Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit

შესავალი

სამართლის მეცნიერება პერმანენტულ გამოცდასა და გაუმჯობესებას განიცდის. იურიდიულ დოქტრინაში შეჯიბრებითობა და მხარეთა თანასწორობა უნივერსალურ პრინციპებად გვევლინება. ისინი განსაზღვრავენ საპროცესო სისტემის სამართლებრივი რეგულირების საფუძვლებს, რომლებიც ვრცელდება სასამართლო პროცესის ყველა ფორმაზე, მათ შორის საკონსტიტუციო, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, სისხლის სამართლის, და საარბიტრაჟო საქმეებზე. უზრუნველყოფს სასამართლოს დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას.

სახელმწიფოში ობიექტურობა და თანასწორობა პირდაპირ დამოკიდებულია ამ პრინციპის განხორციელებაზე. მათი შემდგომი საკანონმდებლო დონეზე გატარება საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ მათი კონსოლიდირება ცალკეულ სამართლებრივ ურთიერთობებთან.

ამ საკვალიფიკაციო ნაშრომის მიზანია მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის უფლებების პრინციპის კონცეპტუალური საფუძვლების ყოვლისმომცველი შესწავლა. კერძოდ, სამოქალაქო სამართალწარმოებაში მისი განხორციელების თავისებურებების, როგორც სუბიექტური უფლებების ანალიზი.

ზოგადი შედეგის და ასევე სიღრმისეული დასკვნისათვის საჭიროა მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპის კონცეფციის ანალიზი, მათი ბუნების დადგენა; სამოქალაქო სამართალწარმოებაში მხარეების ამ პრინციპის ფუნქციური მახასიათებლების გამოძიება, როგორც სამოქალაქო სამართალწარმოების ამოცანების გადაწყვეტის საპროცესო მექანიზმი.

სასამართლოს როლი ამ ფუძემდებლური პრინციპების გატარებში უდაოდ დიდია. ამ თვალსაზრისით, შესაძლებელია სასამართლოს საქმიანობის ხარისხის დადგენა სამოქალაქო წარმოებაში. ასევე სამოქალაქო პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპის კონსოლიდაციისა და განხორციელების ფორმების გამოვლენა.

ეფექტური მასრთლსაჯულების განსახორციელებლად აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მოსამართლის კვალიფიკაცია და მისი საქმიანობის მაღალი ხარისხი. ეს კი დიდ პიროვნულ სიმტკიცეს და შინაგან ძალისხმევას მოითხოვს.

დღესდღეობით უამრავი ახალი გამოწვევის წინაშე დგას ქართული მართლმსაჯულება. პრაქტიკულმა გამოცდილებამ ნათლად დაგვანახა, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს ესაჭიროებათ მექანიზმი, რომელიც გააძლიერებს მომრიგებელი მოსამართლის როლს და დაადგენს მოსამართლის საქმიანობის ხელახალ საზღვრებს შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ხარვეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ კანონი არ შეიცავს დათქმას თუ რა მასშტაბით უნდა მოხდეს ჩარევა პროცესის მიმდინარეობისას. შესაბამისად საჭიროა ცალკეული საკანონმდებლო ცვლილება, რათა თავიდან ავიცილოთ სასამართლო პრაქტიკის არათანმიმდევრულობა. სასურველია, მკაფიოდ და სრულყოფილად განისაზღვროს ნორმატიული წინაპირობები. სწორედ ამ ხარვეზების და არა მხოლოდ ამ კონკრეტულის აღმოფხვრაში გადამწყვეტი სიტყვა სწორედ სასამართლოს ეთქმის, ვინაიდან „სწორედ მათ განკარგულებაშია რეალური შესაძლებლობები, გამოავლინონ და დასძლიონ ნორმებში არსებული ხარვეზები მათი განმარტების გზით.“¹

პრინციპების გაანალიზება გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მაგალითზე უფრო თვალსაჩინოა, რადგანაც გერმანულმა იურიდიულმა დოქტრინამ და სასამართლო პრაქტიკამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და გავლენა იქონია ქართულ საკანონმდებლო სისტემის ჩამოყალიბებაზე.

მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის გატარება კერძოსამართლებრივ დავებში პირის სასამართლოსთან ურთიერთობისთვის უმნიშვნელოვანესია, ისინი მისი კანონიერი ინტერესების დაცვის შესაძლებლობის გარანტიაა. შეჯიბრებითობის სისტემა სწორედ, რომ მისი

¹ ყიფშიძე შ., სამოსამართლო სამართალი, როგორც სამართლის წყარო, (სამართლებრივი პრობლემების გადაჭრა და სამართლის განვითარება), სამართლის ჟურნალი N1, 2018, 204.

კანონიერი ინტერესების დაცვის შესაძლებლობას იძლევა. ნეიტრალურობისა და მიუმხრობლობა ამოსავალი წერტილია ასეთ ურთოერთობებში. იმისათვის რომ, ზემოაღნიშნული პრინციპები გატარდეს აუცილებელია არა მხოლოდ საქმის სწორი განხილვა, არამედ საზოგადოების დარწმუნება, რომ სასამართლო სისტემა ნდობას იმსახურებს.² საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია, რომ სასამართლოში სამართალწარმოება მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.³ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი განმარტავს სამოქალაქო სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპს - დისპოზიციურობას. ამ ნორემის საფუძველზე სამართალწარმოების თითოეულ ეტაპზე საქმის განხილვისათვის გადაწყვეტ ფაზას მხარის ნება წარმოადგენს. სასამართლოს უფლებამოსილება მხოლოდ და მხოლოდ საქმის გარემოებების დადგენითა და მათი სამართლებრივი შეფასებით შემოიფარგლება, რითაც სასამართლო სარჩელის საფუძვლიანობას განსაზღვრავს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის დანაწესი კი ნიშნავს იმას, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც ასეთი გარემოებების ამოსავალ წერტილს წარმოადგენს. დავის გადაწყვეტავც ამ პროცესში მონაწილე მხარეების პოზიციითაა განპირობებული. მხარემ, თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივი საფუძვლის გამყარების მიზნით, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი მტკიცებულება შეიძლება წარუდგინოს სასამართლოს. თუმცა, მხარისათვის მხოლოდ მტკიცებულების წარდგენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განმტკიცებული შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზება ვერ მოხდება. ამისათვის სავალდებულოა, რომ „თითოეულ მხარეს მიეცეს გონივრული შესაძლებლობა, წარმოადგინოს მისი საქმე, მტკიცებულებების ჩათვლით, ისეთ პირობებში, რომელიც მას თავის მოწინააღმდეგე მხარესთან მიმართებით არსებითად

² Landsman S., A Brief Survey of the Development of the Adversary System, Ohio State Law Journal, Vol. 44, 1983, 713.

³ საქართველოს კონსტიტუცია, 62-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

არახელსაყრელ პირობებში არ მოაქცევს“⁴ შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეები თავად განსაზღვრავენ აღძრან თუ არა დავა სასამართლოში,⁵ როგორ წარმართონ და დაასრულონ იგი. კანონმდებლობა მხარეებს განუსაზღვრავს უფლებამოსილებას თავად გადაწყვიტონ საქმის რომელი ფაქტობრივი გარემოებები წარმოაჩინონ და რომელი მტკიცებულებები წარუდგინონ სასამართლოს. მხარეთა მიერ წარდგენილი მოთხოვნებისა და მოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება კი მხოლოდ მოსამართლის პრეროგატივაა.⁶ აღსანიშნავია, რომ „iura novit curia”⁷ და „da mihi factum, dabo tibi ius”⁸⁹ პრინციპების თანახმად, შეჯიბრებითობის პრინციპი არ ვრცელდება დავის სამართლებრივ საფუძვლებზე, ანუ სასამართლო მხარეთა მითითებების მიუხედავად, საქმეს აფასებს სამართლიანობის პრინციპის ხელმძღვანელობით.

სამოქალაქო პროცესში სასამართლო შეზღუდულია არა მხოლოდ მხარეთა სასარჩელო მოთხოვნებისა თუ შესაგებლის ფარგლებით, არამედ მხარეთა მითითებებით. კონკრეტულად მოთხოვნებს რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად ს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა მოხდეს ფაქტის დადასტურება. თითოეულმა მხარე თანასწორიადა უნდა ამტკიცოს გარემოებანი,

⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მარტის განჩინება საქმეზე №28/6112-15.

⁵ Glannon J., Civil procedure, 1987, 175. შეად. „ვედერალურ სასამართლოებში, არცერთ მხარეს არ შეუძლია აღძრას სარჩელი მეორე მხარის წინააღმდეგ, თუ დამკვიდრებული წესებიდან ერთ-ერთი არ იძლევა სარჩელის აღძვრის ნებას”.

⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებები საქმეზე №ას-833-885-2011 და №ას-941-979-2011.

⁷ „სასამართლო იცის სამართალი”, პრინციპის თანახმად, სასამართლო მხარეთა მითითებების მიუხედავად საქმეს აფასებს სამართლებრივი თვალსაზრისით.

<http://gil.mylaw.ge/ka/term/55185.html>

⁸ „მომეცი ფაქტები, მოგცემ სამართალს”, პრინციპის თანახმად, მხარეთა მოვალეობა მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებების მითითებაა, ხოლო სასამართლო მხარეთა მითითებების მიუხედავად სამართლებრივი თვალსაზრისით აფასებს საქმეს,

<http://gil.mylaw.ge/ka/term/54139.html>. იხ. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-1440-1360-

⁹ .

რომლებზედაც იგი თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს ამყარებს. ამ გარემოებათა დამტკიცება ხდება მხარეთა, მესამე პირთა ახსნა განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებით, ასევე ექსპერტთა დასკვნებითაც. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. მხარეებს მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი თანაბრად ეკისრებათ.¹⁰

ამდენად, სამართლებრივ ნორმასთან შესაბამისობის დადგენა სასამართლოს უფლებაცაა და ვალდებულებაც. მოსამართლისათვის სავალდებულო არ არის მხარეთა მოსაზრებები, იმასთან დაკავშირებით, თუ რა სამართლებრივი საფუძველი უნდა იქნეს გამოყენებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ამასთან, არც კანონის იმპერატიული დათქმვა, გამოტანილი გადაწყვეტილება დაეფუძნოს მხარეთა მიერ მითითებული მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს. მოსამართლე დამოუკიდებელია თავის გადაწყვეტილებაში. არ იზღუდება შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპებით.¹¹ სწორედ ეს წარმოადგენს სამოსამართლო საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს კერძო სამართლის სუბიექტთა დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვას იმ პრინციპების გამოყენებით, რომელზეც ასე ვრცლად ვისაუბრეთ და ვისაუბრებთ ცალკეულ თავებში. სამართლიანობის უძველესი პრინციპი - „ქმნა მართლისა სამართლისა“¹² გულისხმობს, რომ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულ რეალიზაციებით. მოსამართლემ საკუთარი უფლებამოსილება ისე უნდა განახორციელოს რომ მხარეებს არ შეეზღუდოთ საკუთარი უფლების დაცვა. იმ შემთხვევაში თუ წარმოიშობა დასაბუთებული ვარაუდი, რომ მხარეს

¹⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 25 მაისის განჩინება საქმეზე №28/1017-18.

¹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 ნოემბრის განჩინება №ას-941-979-2011.

¹² აკადემიური მაცნე, სამართალი N4, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2015, 65.

სასამართლოს გადაწყვეტილებით შეეზღუდა შეჯიბრებითობის პრინციპით გათვალისწინებული უფლებამოსილება საქმის განხილვა ახლიდან უნდა მოხდეს. კერძოდ, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო დავის განხილვისას მიიჩნევს, რომ აღნიშნული დაირღვა საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დააბრუნებს.¹³

საკვალიფიკაციო ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძველი შედგება ზოგადი სამეცნიერო მეთოდებისაგან, მათ შორისაა შემეცნების დიალექტიკური ინდუქციური, დედუქციური, შედარებით-სამართლებრივი და სისტემური კვლევის მეთოდები. ნაშრომში ლოგიკური ანალიზს, სასამართლო სტატისტიკას და პრაქტიკას, კერძოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, გერმანიის ფედერალური სასამართლოსა და სხვა ქვეყნების მიერ დამკვირდებულ პრაქტიკას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1350-1275-2012.

თავი I

1.1 შეჯიბრებითობა და მხარეთა თანასწორობა , როგორც სამართლის უმთავრესი პრინციპი ქართულ სამართალწარმოებაში

კონსტიტუციით გათვალისწინებული შეჯიბრებითობა და მხარეთა თანასწორობა დემოკრატიული სამართალწარმოების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპებია. იგი უნივერსალური ხასიათისაა, რომელიც განსაზღვრავს საპროცესო სისტემის სამართლებრივი რეგულირების საფუძვლს. იგი ვრცელდება სასამართლო პროცესის ყველა ფორმზე, მათ შორის საკონსტიტუციო, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, სისხლის სამართლის, საარბიტრაჟო საქმეზე. შეჯიბრებითობა და მხარეთა თანასწორობა უზრუნველყოფს სასამართლოს დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას. კანონი და წესრიგი, სახელმწიფოში ობიექტურობა და თანასწორობა პირდაპირ დამოკიდებულია ამ პრინციპების განხორციელებაზე, როგორც დემოკრატიული სამართალწარმოების მთავარ მამოძრავებელი და მასტაბილიზირებელი ფაქტორი. შესაბამისი თეორიული დასაბუთებით და მნიშვნელოვნების ანალიზით შესაძლებელია საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება. ნაშრომში განხილულია პრინციპების ზოგადი კონცეფცია, მათი გავლენა კერძოსამართლებრივ ურთიერთობებზე. კონსტიტუციისა და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის სინთეზი და მჭიდრო ურთირთ კავშირი ამ პრინციპების განხილვასა უფრო თვალსაჩინო ხდება. შეჯიბრებითობა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების კონცეპტუალური საფუძვლების ყოვლისმომცველი შესწავლისას შესაძლებელია სამოქალაქო სამართალწარმოებაში ზემოხსენებულთა კონცეფციის ანალიზი, მათი ბუნების დადგენა; პრინციპების ფუნქციური მახასიათებლების გამოძიება, როგორც სამოქალაქო სამართალწარმოების ამოცანების გადაწყვეტის საპროცესო მექანიზმი. ამ თვალსაზრისით, შესაძლებელია დადგინდეს სასამართლოს საქმიანობის ხარისხი სამოქალაქო პროცესში.

1.1.1 სამოქალაქო პროცესში თავსებადობა პრინციპის თეორიული საფუძვლებთან

საპროცესო სამართლის პრინციპების კონცეფცია და მათი მნიშვნელობა სამოქალაქო საპროცესო სამართალი, როგორც დამოუკიდებელი დარგი ემყარება საპროცესო სამართლის პრინციპებს და ადამიანის უფლებების კონვენციებს. იურიდიულ მეცნიერებათა ხანგრძლივი განვითარების პერიოდში მეცნიერები დიდი ყურადღება უთმობდნენ ამ სფეროს შესწავლას. ტერმინი "პრინციპი" ლათინური სიტყვა-Principium-დან მომდინარეობს და პირველად საფუძველს ნიშნავს. ისინი განაგებენ ადამიანთა ცხოვრების წესს, მათ ღირებულებებს. ამიტომ პრინციპებს განსაზღვრავენ არა მხოლოდ მათი ობიექტურობა და აუცილებლობა, არამედ მათი ფუნქციური დატვირთვა ადამიანისთვის. შეჯიბრებითობა და მხარეთა თანასწორობა, როგორც პრინციპები სამართლებრივი სისტემის ფუნდამენტს წარმოადგენენ. იურიდიულ ლიტერატურაში „სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპების“ ცნების განმარტების სხვადასხვა ვარიაციები გვხვდება. თუმცა მათზე ცალსახა და ერთგვაროვანი მოსაზრების ჩამოყალიბება საკმაოდ რთულია. ცალკეულ მეცნიერთა მოსაზრებით პრინციპები განიხილება, როგორც ზოგადი სახელმძღვანელო, რომელიც გამოხატავს სამოქალაქო პროცესის ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებლებს. ამ შემთხვევაში პრინციპები წარმოდგენილია, როგორც კანონის უზენაესობა, მხოლოდ უფრო ზოგადი შინაარსით. მეორე მეცნიერთა ჯგუფი პრინციპებს განიხილავს როგორც ფუნდამენტალურ საფუძველს სოციალური ურთიერთობების. ამ შემთხვევაში, მითითებული თვალსაზრისის წარმომადგენლები ესმით პრინციპს, როგორც წმინდა თეორიულ კატეგორიას, რომელიც პირდაპირ არ არის განსაზღვრული კანონის უზენაესობაში. ასევე განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებს სხვა მეცნიერთა ჯგუფი, რომლებიც, ერთი მხრივ, განსაზღვრავენ კანონის პრინციპებს, როგორც იდეოლოგიურ მახასიათებელს, და მეორეს მხრივ, როგორც ნორმატიული და სახელმძღვანელო პრინციპებს (საფუძვლებს).

ეს უკანასკნელი სხვა დანარჩენისგან განსხვავებით ყველაზე გამართლებულია, ვინაიდან კანონის პრინციპი, როგორც ფუნდამენტური იდეა, სამეცნიერო და ფილოსოფიური პრინციპებისგან განსხვავებით, საჭიროებს სპეციალური დაცვას, რომელიც გათვალისწინებულია სახელმწიფო იძულებითი ძალებით, ამიტომ, იგი მოითხოვს სავალდებულო ფიქსაციას კანონის უზენაესობაში. სამართლის თეორიაში კანონის პრინციპს განმარტავს, როგორც მაფორმირებელს, ძირითადი იდეების განვითარებისა და ფუნქციონირების პროცესს. კანონის უზენაესობა სწორეს ამ პრინციპების ერთიანობას წარმოადგენს, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოების მთელ სამართლებრივ ცხოვრებაზე, ქვეყნის მთელ საკანონმდებლო სისტემაზე. კანონის პრინციპებს უდიდესი გავლენა აქვს ნორმატიული სამართლებრივი აქტების მომზადების მთელ პროცესსა და მათ გამოქვეყნებაზე. სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპებს (პროცესს) უწოდებენ მის ფუნდამენტურ დებულებებს, ფუნდამენტურ იურიდიულ იდეებს, რომლებიც დაცულია კანონის უზენაესობის ნორმებში. ისინი დიდ გავლენას ახდენენ სამოქალაქო პროცესის ყველა ინსტიტუტზე, რომელიც თავის მხრივ ასახვას პოულობს სამართლებრივი გადაწყვეტილებებსა და მათ აღსრულებაში. მ.კ. ტრუმნიკოვის მოსაზრებით: „პრინციპები არის სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმების სისტემის საფუძვლები, ძირითადი კონცეფციები, საპროცესო კანონების ერთიანობა”. სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპები განსაზღვრავს კანონის სუბიექტების საქმიანობის ფორმასა და მთავარ მახასიათებლებს, განვითარების ტენდენციებსა სამართლებრივი ურთიერთობების გაუმჯობესებას, რომელიც უზრუნველყოფს სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნებისა და ამოცანების შესრულებას. საპროცესო კანონმდებლობაში შეტანილი ყველა ცვლილება პრინციპებზე დაყრდნობით იქნა მიღებული. სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპები, როგორც სამოქალაქო საპროცესო სამართლის ფუნდამენტური ნორმები, ისინი არეგულირებენ სოციალურ ურთიერთობებს, რომლებიც იქმნება სასამართლოსა და პროცესის სხვა მონაწილეთა შორის. პრინციპები, როგორც დამხმარე სტრუქტურა, მთელი სამართლებრივი სისტემის

ბირთვია. ისინი ქმნიან კანონმდებლობის ერთგვარ სახელმძღვანელოს, რომელიც გავლენას ახდენენ ნორმატიული აქტების მომზადებისა და გამოცემის მთელ პროცესზე. ამიტომაც სამოქალაქო საპროცესო სამართლის ყველა პრინციპი არის სამართლიანობის მნიშვნელოვანი დემოკრატიულობის და სიმყარის გარანტი სამოქალაქო საკითხებში. სამოქალაქო საქმეების განხილვისა და გადაწყვეტისას, სასამართლო ეყრდნობა არა მხოლოდ კონკრეტულ სამოქალაქო საპროცესო წესებს, არამედ საპროცესო სამართლის პრინციპებს. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ყველა ნორმის ინტერპრეტაცია ხორციელდება იურიდიული პრინციპების გათვალისწინებით, რაც სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს იცოდეს ამ წესების ჭეშმარიტი მნიშვნელობა რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს სასამართლოს კანონიერი და გონივრული გადაწყვეტილების მიღებას. ამიტომ, იურიდიული პრინციპების მნიშვნელობის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კანონების ხარისხი და სამართლებრივი რეგულირების ეფექტურობა დიდწილად არის დამოკიდებული როგორ არის გადმოცემული და ჩამოყალიბებული ასეთი პრინციპები. ცხადია, რომ იურიდიულ რეალობაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენენ პრინციპები. დადგენილია, რომ პრინციპები გამოხატავს სამართლებრივი ურთიერთობების არსს და შინაარსს სამოქალაქო სამართალწარმოების სფეროში. ცივილიზაციის განვითარების მთელ ისტორიაში, იურიდიული აზროვნების შედეგების საფუძველზე, მეცნიერებმა შეიმუშავეს იურიდიული პრინციპები, საზოგადოების განვითარების დამახასიათებელი ობიექტური კანონების გათვალისწინებით. პრინციპები გადამწყვეტ როლს თამაშობენ იურიდიულ ურთიერთობებში მონაწილეთა იურიდიულ ცნობიერებაზე. დაუშვებელია პრინციპების „ამოღება“ არსებული ნორმებიდან და სასამართლო პრაქტიკიდან, რადგან ეს არის ნორმები, რომლებიც უნდა ჩამოყალიბდეს პრინციპების შესაბამისად და იურისპრუდენცია უნდა დაიცვან მათ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპები შეიძლება განისაზღვროს, როგორც მთავარი, ყველაზე ზოგადი, სისტემური ფორმირების ყველაზე სტაბილური და ისტორიულად განსაზღვრული სამოქალაქო საპროცესო წესები, რომლებიც ერთად განსაზღვრავენ

ყველა სხვა სამოქალაქო საპროცესო წესის შინაარსს. პრინციპები ასახავენ მოქმედი კანონმდებლობის არსს, აჩვენებს კანონით რეგულირებულ ურთიერთობებს სხვა საზოგადოებასთან მიმართებაში. პრინციპების მნიშვნელობა მდგომარეობს იმაშიც, რომ ისინი განსაზღვრავენ კანონმდებლობის მთავარ მიმართულებებს, საფუძვლებს, რომელზედაც ემყარება კანონის უზენაესობა. მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების განხორციელება აუცილებელია არა მხოლოდ საქმის სწორი განხილვის უზრუნველსაყოფად, არამედ საზოგადოების დასარწმუნებლად, რომ სასამართლო სისტემა ნდობას იმსახურებს.¹⁴ საქართველოს კონსტიტუციით დაცულია, რომ სასამართლოში სამართალწარმოება მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე,¹⁵ რომელიც გამყარებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით სამოქალაქო სამართალწარმოების ფუნდამენტური პრინციპი - დისპოზიციურობა. ნორმიდან გამომდინარე, საქმის განხილვისათვის თითოეულ ეტაპზე მნიშვნელოვანია მხარის ნება იმგვარად, რომ სასამართლოს უფლებამოსილება მხოლოდ და მხოლოდ საქმის გარემოებების დადგენითა და მათი სამართლებრივი შეფასებით შემოიფარგლება, რითაც განისაზღვრება სასამართლო სარჩელის საფუძვლიანობა. სსსკ მე-4 მუხლის მიხედვით სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც ამ სახის წარმოების ამოსავალი პრინციპია და დავის გადაწყვეტის ბედიც ამ პროცესში მონაწილე მხარეების პოზიციითაა განპირობებული. მხარე, თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივი საფუძვლის გამყარების მიზნით, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი მტკიცებულება შეიძლება წარუდგინოს სასამართლოს. მხარისათვის მხოლოდ მტკიცებულების წარმოდგენის უფლების მინიჭება სსსკ განმტკიცებული შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზების უპირობო გარანტიას არ წარმოადგენს. სავალდებულოა, რომ „თითოეულ მხარეს მიეცეს გონივრული შესაძლებლობა, წარმოადგინოს მისი საქმე, მტკიცებულებების ჩათვლით, ისეთ პირობებში, რომელიც მას თავის მოწინააღმდეგე მხარესთან მიმართებით არსებითად

¹⁴ Landsman S., A Brief Survey of the Development of the Adversary System, Ohio State Law Journal, Vol. 44, 1983, 713.

¹⁵ საქართველოს კონსტიტუცია, 62-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

არახელსაყრელ პირობებში არ მოაქცევს“¹⁶. ზემოხსენებული პრინციპიდან გამომდინარე, მხარეები თავად განსაზღვრავენ აღძრან თუ არა დავა სასამართლოში,¹⁷ როგორ წარმართონ და დაასრულონ იგი. კანონმდებლობით განსაზღვრულია მხარეთა უფლებამოსილებას თავად მიიღოს გადაწყვეტილება, რომელი ფაქტობრივი გარემოებები მოახსენონ და რომელი მტკიცებულებები წარუდგინონ სასამართლოს.

¹⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მარტის განჩინება საქმეზე №28/6112-15.

¹⁷ Glannon J., Civil procedure, 1987, 175. შეად. „ვედერალურ სასამართლოებში, არცერთ მხარეს არ შეუძლია აღძრას სარჩელი მეორე მხარის წინააღმდეგ, თუ დამკვიდრებული წესებიდან ერთ-ერთი არ იძლევა სარჩელის აღძვრის ნებას“.

თავი II

2.1. სასამართლოს ფუნქციის და როლის განსაზღვრა

ქართლი ისტორიული სამართლებრივ დოქტრინაში სამოქალაქო სამართალწარმოებაში საგამოძიებო პრინციპი იყო მიღებული,¹⁸ რომელიც მოიაზრებდა სასამართლოს შესაძლებლობას, გამოეკვლია ფაქტები საკუთარი უფლებამოსილების საფუძველზე. ამ პრინციპის მოქმედებით მთელი რიგი უარყოფითი მხარეები გამოიკვეთა. კონკრეტულად, 1) შესუსტდა მხარეთა აქტივობა და მათი ჩართულობა პროცესში თითქმის პასიური იყო, ისინი აღარ ზრუნავდნენ ფაქტების მითითებაზე, რადგანაც ეს ფუნქცია სასამართლოზე იყო დადელეგირებული; 2) საქმის განხილვა დიდ დროს მოითხოვდა, სასამართლო ვერ ახერხებდა, მოეძია, გამოეთხოვა და შეემოწმებინა მტკიცებულებები. შესაბამისად საქმეები უზომოდ ჭიანურდებოდა; 3) ზემდგომი ინსტანციის სასამართლოები აუქმებდნენ გადაწყვეტილებას იმ მოტივით, რომ ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებები უსაფუძვლო იყო.^{19,20} დღევანდელი სამართლებრივი რეალობა რადიკალურად განსხვავებულია ძველი არსებულისგან. სამოქალაქო სამართალწარმოება შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოსამართლის ინიციატივას საქმის განხილვის მიზნით და არა მის უშუალო ჩართულობას ძირითად ეტაპზე. პროცესი იმართება შეჯიბრებითობის პრინციპით, სადც სამძებრო ელემენტების გამოყენებით ხდება საქმეთა განხილვა. მე-12 საუკუნის ევროპის სამართლის მიხედვით დაინერგა შეჯიბრებითობისა და ინკვიზიციურობის სისტემა, რომელთა შორის სხვაობა მოდის დიდი იყო. კერძო

¹⁸ ლათ. Officium inquisitio, იგივე ინკვიზიციურობის, მოკვლევის, ოფიციალობის პრინციპი. ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მე-10 გადამუშავებული გამოცემა, მიუნხენი, 2006. (თარგმანი ქართულ ენაზე - თოთლაძე ლ., სამეცნიერო რედაქტორი ტურავა მ. (2009)), ნაშრომიდან: გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013, 125. იხ. ასევე, ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბილისი, 2005, 58.

¹⁹ ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბილისი, 2005,

²⁰ .

სამართლის მხარის ინიციატივით ხდებოდა შეჯიბრებითობის პრინციპის ინიცირება მაშინ, როდესაც ინკვიზიციურობის საპროცესო წესის წარმართვა სასამართლოს მიერ ხდებოდა.²¹ ფრანგი მეცნიერის, გუი ბრებანის მიხედვით, ინკვიზიციური პრინციპი პროცესის მიმდინარეობისას სასამართლოს დომინირებას ნიშნავს.²² როგორც ავლნიშნეთ სსსკ მე-4 მუხლის მე-2 ნაწილით სასამართლოს ინიციატივას წარმოადგენს საქმის გარემოებათა დასადგენად გამოიყენოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებები. სასამართლოს ეს უფლებამოსილება განესაზღვრება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.²³ იგივე დატვირთვის მატარებელია ამავე კოდექსის 223-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც საქმის ყოველმხრივი გამოკვლევის მიზნით, გარკვეული ზომების გამოყენებაზე მიუთითებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 222-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე, რომელიც საქმეს განიხილავს ერთპიროვნულად, კოლეგიური სასამართლოს თავმჯდომარეს და მის ნებისმიერ წევრს, უფლება აქვთ მხარეებს მიმართონ შეკითხვებით, რომლებიც საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი იქნება, ასევე ხელს შეუწყობს გარემოებათა სრულად და ზუსტად განსაზღვრას. ასევე გარემოებების დასადგენად მტკიცებულებათა გამოვლენასა და სასამართლოში წარდგენას. მათი უტყუარობის დადგენას. აღნიშნული ამავე კოდექსის 128-ე მუხლით არის გათვალისწინებული. ²³ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს საქმის არსებითი განხილვისთვის წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები, ხოლო 203-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, მთავარ სხდომაზე განხილვისათვის საქმის

²¹ Parisi F., Rent-Seeking Through Litigation: Adversarial and Inquisitorial Systems Compared, *International Review of Law and Economics*, Vol. 22, No. 2, August 2002, 3.

²² ბრებანი გ., საფრანგეთის ადმინისტრაციული სამართალი, ბრებანის მოსაზრება ვალერი ლორიას სახელმძღვანელოდან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2002, 36. ნაშრომიდან: ბასილაია ფ., საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი და დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მართლმსაჯულება და კანონი, N4(23)'09, 31.

²³ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა, თბილისი, 2007, 8. ²³ შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 ნოემბრის განჩინება N^ას-941-979-2011.

მოსამზადებლად მოსამართლე უფლებამოსილია, დაავალოს მხარეებს შეავსონ, ხოლო ძირითადი საჭიროებიდან გამომდინარე განმარტონ მათ მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები, ასევე მისცეს მათ საშუალება წარმოადგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთები თუ დოკუმენტები.

ჩამოთვლილი ნორმები ნათლად აჩვენებს სურათს, რომ კანონმდებელი სასამართლოს აზღვევს სრულ თავისუფლებას, საჭიროებისამებრ მოსთხოვოს მხარეებს, წარადგინონ მტკიცებულებები და დაეხმაროს სასამართლოს სადავო ფაქტობრივი გარემოებების სწორად დადგენაში.²⁴ მაგალითისათვის, უნდა აღინიშნოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქმე, რომელიც ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სასამართლოს გამოერკვია და დაეზუსტებინა, მოსარჩელის მოთხოვნა თანხის გადახდის დაკისრების თაობაზე, კონკრეტულად რა სამართლებრივი ურთიერთობიდან იყო წარმოშობილი ვალდებულება.²⁵ მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენის მიზნით, თანამედროვე სამოქალაქო პროცესი საქმეზე არსებითი გარემოებების დასადგენად მტკიცებულებების გამოკვლევასა და კითხვების დასმით პროცესის წარმართვას ასევე ითვალისწინებს მაგისტრატის მოსამართლის ინსტიტუტი.^{26,27} დასადგენია სასამართლოში საქმისწარმოების ინკვიზიციური პრინციპი რა ხასიათს ატარებს, სავალდებულო თუ ნებაყოფლობით. აღნიშნული მოსამართლის კომპეტენციას განეკუთვნება თუ არა.²⁸ როგორც სსსკ მე-4(2) მუხლშია გადმოცემული, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს. ანალოგიურ უფლებამოსილებაზეა საუბარი საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო

²⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-750-704-2012.

²⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-941-979-2011.

²⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოს მოსამართლეთათვის, თბილისი,

²⁷ , 35.

²⁸ იხ. მერებაშვილი ი., სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას მხარეთა შეჯიბრებითობისა და მოსამართლეთა აქტიურობის პრინციპების მოქმედება, მართლმსაჯულება და კანონი, N4(23)'09, 20.

კოდექსის ნორმებშიც (184-ე, 185-ე მუხლები), თუმცა, ამავე კოდექსის მე-16 მუხლით სასამართლო ვალდებულებაა გამოითხოვოს მტკიცებულებები, თუ ისინი აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობას წარმოადგენს და ჭეშმარიტების დადგენას შეუწყობს ხელს. ავსტრიის საპროცესო კანონმდებლობა უფრო ფართო განვითარების აღმოჩნდა და სასამართლოს დააკისრა ვალდებულება, მიიღოს ყველა ზომა, რათა მხარეებმა წარადგინონ მტკიცებულებები, არა მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებების, არამედ საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.²⁹ მიუხედავად იმისა, რომ ქართულ კანონმდებლობაში ანალოგიური დათქმა არ არის გათვალისწინებული პრაქტიკა საწინააღმდეგოს ამტკიცებს. საქმის სწორად და ეფექტიანად გადაწყვეტის მიზნებისათვის, მოსამართლეები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიმართვენ სხვადასხვა ღონისძიებებს.

²⁹ იქვე, 25.

2.1.1. მოსამართლის ფუნქციური შესაძლებლობა და როლი სასარჩელო წარმოების ეტაპზე (განხილვა გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ცვლილებების მაგალითზე)

21-ე საუკუნის დასაწყისიდან შეიმჩნევა მოსამართლის ინსტიტუტის გაძლიერება. როგორც ქართულ, ასევე გერმანულ სამართალში.

გერმანულმა კანონმდებლობამ ცვლილება განიცადა სამოქალაქო სამართალ წარმოების ორი მიმართულებით: კერძოდ: ა) მოსამართლის მიერ მითითებების გაცემის ვალდებულების და ბ) მომრიგებელი მოსამართლის როლის გაძლიერების კუთხით.

აღნიშნულმა რეგულაციამ, განაპირობა მოსამართლის უფლებამოსილების გაფართოება, კონკრეტულად, მეტი კომუნიკაცია განახორციელოს მხარეებთან და მიიყვანოს ისინი შეთანხმებამდე.³⁰³¹ ამ ცვლილების საფუძველზე განისაზღვრა მოსამართლის საქმიანობის ახალი საზღვრები, რასაც თან ახლავს მთელი რიგი თავისებურებები: როგორც უპირატესობები, ასევე რისკების კუთხით. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 139-ე პარაგრაფის ახლებური რედაქციის თანახმად:

„1. სასამართლომ მხარეებს შორის არსებული საგნობრივი და დავასთან დაკავშირებული ურთიერთობა, რამდენადაც ეს აუცილებელია, მხარეებთან ერთად უნდა განიხილოს ფაქტობრივი და სამართლებრივი კუთხით და დასვას კითხვები. სასამართლომ ხელი უნდა შეუწყოს, რომ მხარეებმა დროულად და სრულყოფილად გამოხატონ საკუთარი პოზიცია ყველა არსებით ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მათ უნდა სრულყოფილ წარმოდგენილ ფაქტებთან დაკავშირებით გაკეთებული არასაკმარისი მითითებები, დაასახელონ

³⁰ შმიდტი შ., გერმანიაში სამოქალაქო სამართალწარმოებისას სასამართლო კომუნიკაციის მნიშვნელობა, გერმანულიდან თ. ბერიშვილის თარგმანი, სამართლის ჟურნალი N1, 2018,

³¹ .

მტკიცებულებები და წარმოადგინონ საქმესთან კავშირში მყოფი შუამდგომლობები.³²

2. სასამართლოს უფლება აქვს, იმ მოსაზრებას, რომელიც მხარეს აშკარად გამორჩა მხედველობის არედან ან მან ის არაარსებითად მიიჩნია, თუ საქმე არ ეხება მხოლოდ დამატებით მოთხოვნას, საფუძვლად დაუდოს საკუთარი გადაწყვეტილება, თუ მან უკვე მიუთითა ამ მოსაზრებაზე და მხარეებს მისცა ამასთან დაკავშირებით აზრის გამოხატვის შესაძლებლობა. იგივე მოქმედებს იმ მოსაზრებასთან დაკავშირებითაც, რომელსაც სასამართლო მხარეებისგან განსხვავებულად აფასებს.

3. სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს იმ ეჭვებზე, რომლებიც არსებობს საკუთარი ინიციატივით გასათვალისწინებელ პუნქტებთან დაკავშირებით.

4. ამ მუხლის მიხედვით, მითითებები უნდა გაიცეს რაც შეიძლება ადრე და მოხდეს მათი დოკუმენტის სახით დაფიქსირება. ამ მითითებების გაცემა შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ საქმის მასალების შინაარსით. საქმის მასალების შინაარსი მხოლოდ მაშინ შეიძლება დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ, თუ დადასტურდება მათი გაყალბება.

5. თუ მხარეს არ აქვს შესაძლებლობა დაუყოვნებლივ გამოხატოს საკუთარი პოზიცია სასამართლოს მიერ გაკეთებულ მითითებაზე, მისი განაცხადის საფუძველზე, სასამართლომ მას ამისათვის უნდა დაუწესოს ვადა, რომლის განმავლობაშიც მას შეეძლება წერილობით წარმოადგინოს ახსნაგანმარტება.³³

ამდენად, აღნიშნული ცვლილებით გამყარდა მოსამართლის როლი და ინიციატივის შესაძლებლობა სასამართლო პროცესზე. მოსამართლეს დაეკისრა ვალდებულება გასცეს მითითებები, მხარის არასათანადო აღქმის ან გამორჩენის შემთხვევაში. სასამართლოს ეკისრება ვალდებულება ხარვეზის წარმოჩენის, რათა საქმეზე მოხდეს ობიექტური გადაწყვეტილების მიღება. სასამართლოს მითითებების შემდგომ, მხარეებს ექნებათ საშუალება აზრის დაფიქსირების, რაც

³² შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის 1 ნაწილი (მტკიცებულებათა შეგროვება), 128-ე (მოსამართლეთა შეკითხვები), 222-ე (მოსამართლეთა შეკითხვები) მუხლები.

³³ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარა. 139, German Code of Civil Procedure, para.139 - (ZPO) Zivilprozessordnung,

<https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html>.

შესაძლოა დიალოგის სახით გამოიხატება³⁴ გერმანიაში ბოლოდროინდელი რეგულაცია შეეხო საპროცესო კოდექსის 278-ე პარაგრაფს. ეს უკანასკნელი 2012 წლის 21 ივლისის მედიაციის კანონის მიღებით იქნა განპირობებული. ნორმით სასამართლოს დაეკისრა ვალდებულება საქმის მორიგებით დასრულებაზე და გამოიყენოს ყველა მეთოდი, მათ შორის მედიაციაც (მომრიგებელი მოსამართლე).³⁵ შტეფან შმიდტი თავის ნაშრომში წერდა: „დავის მოგვარება არის არა მხოლოდ მოთხოვნა მოსამართლისადმი, არამედ სამართლებრივად მბოჭავი პრინციპი“.³⁶ შესაბამისად, მოსამართლე ვალდებულია ეცადოს მხარეთა შორის კონფლიქტი აღმოფხვრას, მისი ამოცანაა სამართლებრივი დავის კონსესუსით დასრულება. ეს კიდევ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხაზგასმია იმ პრინციპების რომელსაც შეჯიბრებითობა და მხარეთა თანასწორობა ჰქვია. სწორედ ამ პრინციპების ხელმძღვანელობით მოსამართლეთა მხრიდან დიდ ძალისხმევას და მტკიცე პრინციპულობას მოითხოვს. მათ უნდა შესწევდეთ როგორც თანაგრძნობის, ისე ემპათიისა უნარი. უნარი მოარიგოს მხარები მაქსიმალურად ოპტიმალური შედეგებით. გასათვალისწინებელია ასევე ლიონელ ლევინის³⁷ და კეთრინ ი. სტეინჯის³⁸ სახელობის „განაწილების პროცედურა“, რომლის თანახმადაც, მომრიგებელმა მოსამართლემ შეიძლება მოუწოდოს მხარეებს, პრიორიტეტულობის პრინციპით იმოქმედონ მხარეებმა. მანუ ხარეებმა თავად განსაზღვრონ პრიორიტეტების სიას, რომელიც იწყება ყველაზე დაბალი შეფასების მქონე საგნით. ის, რაც ერთი მხარისთვის ყველაზე ნაკლებად პრიორიტეტულია, შეხვდება მეორეს, და პირიქით. ეს გრძელდება იქამდე, სანამ ყველა საგანი არ განაწილდება.³⁹

³⁴ Wiczeorek/Schütze a.a.O. Rn 75. „გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლო გადაწყვეტილებაში 02.10.2003, Az.: V ZB 22/03, გამოქვეყნებული BGH NJW 2004, 164, საუბრობს სასამართლოსა და მხარეებს ან ადვოკატებს შორის გახსნილ დიალოგზე“, ნაშრომიდან: შმიდტი შ., გერმანიაში სამოქალაქო სამართალწარმოებისას სასამართლო კომუნიკაციის მნიშვნელობა, გერმანულიდან თ. ბერიშვილის თარგმანი, სამართლის ჟურნალი N1, 2018, 345.

³⁵ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე, 217-ე, 218-ე, 373(2) და 187¹ მუხლები.
³⁶ იქვე, 347.

³⁷ Lionel Levine, Massachusetts Institut of Technology Cambridge.

³⁸ Katherine E. Stange, Stanford University California.

³⁹ შმიტი შ., შულცი კ., მომრიგებელი მოსამართლე, GIZ, 2019, 48.

მოსამართლის აქტიური როლი გარკვეულ საფრთხეებს შეიცავს. განსაკუთრებულად გაზრდილი ფუნქციები არ უნდა ლახავდეს ერთ-ერთი მხარის უფლებებს. კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახის ქვეყნებში, კანონმდებლობით განსაზღვრულია რომ, მოსამართლის გადაწყვეტილება მხარეების მოლოდინს არ უნდა აჭარბებდეს. პრაქტიკიდან გამოდინარე ბოლო დროს შეიმჩნევა ტენდენცია, ცალკეული მოსამართლეები დავის მორიგებით გადაწყვეტის მიზნით, საკუთარ წინასწარ აზრს აფიქსირებს კონკრეტულ საკითხზე (განსხვავებით სისხლის სამართლის პროცესისგან). აღნიშნული მნიშვნელოვანია იმითაც, რომ გადაწყვეტილება არ უნდა სცდებოდეს მოლოდინის ფარგლებს.⁴⁰ იგივე შინაარსს შეიცავს გერმანიის კონსტიტუციის 103-ე მუხლი, რომლითაც გარანტირებულია უფლება სამართლიანი სასამართლო მოსმენის შესახებ.⁴¹ ამდენად გაზრდილი უფლებამოსილებებით არ უნდა იქნეს შეზღავნებული მოსამართლის ის ნეიტრალური ფუნქცია, რაც კანონმდებლობით აქვს მას მინიჭებული. ასევე, არ იქნეს იმ პრინციპებიდან გადახვევა, რომელიც ასეთი პრიორიტეტული და მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

⁴⁰ ბოელინგი ჰ., სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, მოსამართლეთა სემინარი, სასტუმრო „თბილისი“, ბაკურიანი, 5-8 ივლისი, 2007, 157.

⁴¹ შუად. ე. წ. დაუშვებელი, მოულოდნელი გადაწყვეტილება. გერმანიაში მოსამართლეს ევალება მითითებების გაცემა, რათა გადაწყვეტილება არ დაამყაროს ისეთ გარემოებას, რომელიც მხარეებს წინასწარ გათვლილი არ ჰქონიათ.

2.1.2. საქმის განხილვის ეტაპზე სასამართლოს ინიციატივის ფარგლები

განსახილველ საქმეთა ნაკადის მართვა ძალზედ რთული პროცესია, რომელიც სასამართლოს მხრიდან დიდ დროს და ძალისხმევას მოითხოვს. მნიშვნელოვანია განვსაზღვოთ რამდენად შეესაბამება საქმისწარმოების დაჩქარების მიზნით მოსამართლის როლის გაძლიერება შეჯიბრებითობის პრინციპს და რა ღონისძიებები უნდა გატარდეს საქმეთა ნაკადის სამართავად. ქართული საპროცესო კანონმდებლობა შეიცავს გარკვეულ ნორმებს, რომელიც მოსამართლეს აძლევს საქმეზე აქტიური კონტროლის ფუნქციას. მაგალითად, როგორცაა სასამართლოს უფლება მოხსნას პროცესის გაჭიანურებისაკენ მიმართული შუამდგომლობები (სსსკ-ის 215-ე მუხლი), გამოთხოვილი მტკიცებულებების წარმოდგენლობისას (როდესაც წერილობითი მტკიცებულების წარდგენის შესახებ სასამართლოს მოთხოვნა არასაკატიოდ არ შესრულდა) დააჯარიმოს შესაბამისი თანამდებობის პირი (სსსკ-ის 136-ე მუხლი) და ა.შ. აშშ-ს იურისტთა ასოციაციის მიხედვით: „მას შემდეგ, რაც დავაში მონაწილე მხარე მიმართავს სასამართლოს, სასამართლოს ეკისრება პასუხისმგებლობა, რომ ზეწოლა მოახდინოს ადვოკატებზე და მხარეებზე, რათა ისინი მოემზადონ საქმისათვის დაყოვნების გარეშე. სასამართლოს მიერ მხარეებზე კონტროლის დაკარგვა. აუცილებლად იწვევს პროცესის ინერტულობას.“⁴² მოსამართლის ფუნქციის გააქტიურებას აღიარებს ევროპული გამოცდილებაც, კერძოდ, ა. ცუკერმანი წერდა: „ფაქტები, განსაკუთრებით კი აშშ-ს გამოცდილებიდან გამომდინარე, მოწმობენ, რომ მოსამართლის როლის გააქტიურება პოზიტიურად მოქმედებს საქმისწარმოების ვადებზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსამართლის, როგორც მესამე მხარის როლი საქმისწარმოებაში, რომელიც უპირისპირდება მხარეთა შესაძლებლობას, თუნდაც შეჯიბრებითობით სისტემაში, წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან გარანტიას საქმისწარმოების ადეკვატური ტემპის

⁴² ABA Standards Related to Court Delay Reduction, ციტირებულია ნაშრომიდან: საქმეთა ნაკადის მართვა და საქმისწარმოების დაჩქარება სასამართლოებში, ძირითადი პრინციპების მოკლე მიმოხილვა, თბილისი, 2010, 9.

შესანარჩუნებლად.”⁴³ სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებებით, მოსამართლე ვალდებულია დაადგინოს კონკრეტული დროის ლიმიტი. მან უნდა შეძლოს მიაღწიოს შეთანხმებას პროცესის ყველა მონაწილესთან საპროცესო კალენდართან დაკავშირებით, რომელთა შეცვლა დასაშვები იქნება მხოლოდ საპატიო გარემოებების არსებობისას, ყველა მხარესთან შეთანხმებით. შეყოვნებისა და არაკეთილსინდისიერი ქცევისათვის გარკვეული სანქციების გატარება უნდა მოხდეს. ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს შემოკლებული ფორმის და მხოლოდ არსებით საკითხებს უნდა მოიცავდეს, მიზანს უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ გადაწყვეტილების ახსნა. მნიშვნელოვანია ასევე, რომ მოსამართლეებს ჰქონდეთ, შესაძლებლობა, როგორც წერილობით, ისე ზეპირი გადაწყვეტილების გამოტანის.⁴⁴ აქტიური კონტროლის საფუძველზე, როგორც ქართული, ასევე ამერიკული და ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით, სასამართლოს უნდა ჰქონდეს მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც განახორციელებს თავის უფლებამოვალეობებს.

⁴³ Marco Fabri and Philip Langbroek, „Delay in Judicial Proceedings in Europe: preliminary inquiry”, ციტირებულია ნაშრომიდან: საქმეთა ნაკადის მართვა და საქმისწარმოების დაჩქარება სასამართლოებში, ძირითადი პრინციპების მოკლე მიმოხილვა, თბილისი, 2010, 10.

⁴⁴ სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებები (მე-2 რედაქცია), მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ), სამოსამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის ცენტრის მმართველი ჯგუფი (CEPEJ-SATURN), CEPEJ (2014)16¹, სტრასბურგი, 12 დეკემბერი, 2014, 8.

2.1.3 საქმისწარმოების დაჩქარება, მხარეთა შორის ბალანსის და სამართლებრივი ფუნქციის განსაზღვრა

სასამართლოს მხარეებმა საქმის სადავო ფაქტობრივი გარემოებები სრული სიზუსტით უნდა მოახსენონ. თუ ორივე მხარის მოხსენება საკმარისად სამართლებრივად გამართულია, მაშინ მოსამართლე მიიღებს გადაწყვეტილებას საქმიდან გამომდინარე. მოსამართლის ვალდებულებაა დაადგინოს მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების სამართლებრივი სტატუსი, ხომ არის გამორჩენილი გარკვეული გარემოება. მტკიცების ტვირთი თანაბრად უნდა იქნას გადანაწილებული. კერძოდ: ა) მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რომელმა მხარემ უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება და ძირითადი მტკიცების ტვირთი ვის მხარესაა. თუმცა, მიუხედავად გაზრდილი ფუნქციისა სასამართლო არ არის ვალდებული საკუთარი ინიციატივით დაკითხოს მოწმე შესაბამისი შუამდგომლობის წარდგენის გარეშე; ბ) მტკიცების ტვირთის საკითხი მნიშვნელოვან გადაწყვეტას მოითხოვს, როდესაც მტკიცებულებათა შეგროვების მიუხედავად სადავო ფაქტები ვერ იქნა დადასტურებული, სასამართლო ვერ დარწმუნდა მათ არსებობა-არარსებობაში. აქ უკვე სახეზეა ე.წ. „ნონ-ლიქუეტ“. ამ დროს, ძირითადად მოქმედებს სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც გულისხმობს, რომ როგორც მოსარჩელემ, ისე მოპასუხემ წარმოადგინოს საქმესთან, პროცესთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულება.⁴⁵ ქართული სამართლის სტანდარტის მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტურის განაწილების მიხედვით, მტკიცების ტვირთი განაწილებულ უნდა იყოს ისე, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს უნდა დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცება, რომელთა მტკიცება მათთვის ობიექტურად შესაძლებელია.

მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხი აისახება გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილშიც. თუ ვერ მოხერხდა ფაქტობრივი გარემოების დამტკიცება, ამ შემთხვევაში მოსამართლემ არ უნდა დაასაბუთოს გადაწყვეტილება. რადგან

⁴⁵ ბოელინგი ჰ., სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, მოსამართლეთა სემინარი, სასტუმრო „თბილისი“, ბაკურიანი, 5-8 ივლისი, 2007, 114.

მტკიცების ტვირთი ამ შემთხვევაში მხარეებს აკისრიათ. შესაბამისად აუცილებელია, რომ გადაწყვეტილების ფორმულირებისას მტკიცების ტვირთის საკითხი ზუსტად განისაზღვროს.⁴⁶ თუ სასამართლოს მიერ დადგინდება, რომ გარემოება ითხოვს დამატებით შესწავლას, მხარისათვის მიცემული შეკითხვებისა და განმარტებების მოთხოვნის საფუძველზე უნდა დაზუსტდეს შესაბამისი ფაქტი. მიღებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილება.

⁴⁶ ბოელინგი ჰ., სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, მოსამართლეთა სემინარი, სასტუმრო „თბილისი“, ბაკურიანი, 5-8 ივლისი, 2007, 116.

2.2 მოსამართლის როლის განსაზღვრა და მისი ფარგლები

2.2.1 მოსამართლის აცილების საფუძვლები

გემანული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით მოსამართლეთა მხრიდან გარემოებათა დასადგენად მხარეებთან კომუნიკაცია გარკვეული რისკების შემცველია. პროცესის მონაწილეებს ექმნებათ ვარაუდი, რომ საქმის განმხილველი მოსამართლე შესაძლოა მიკერძოებული იყოს.⁴⁷ მიუხედავად ამის ეს ფაქტორი აცილების საფუძვლად ვერ ჩაითვლება. მოსამართლე პროცესის მსვლელობისას განმარტავს როგორც შინაარსობრივ, ისე სამართლებრივ მხარეს. მიკერძოების საფუძველი მხარეს არ ექნება თუ მსგავსი განმარტების მიზანი დავის სწორად და სამართლიანად გადაწყვეტაა. კონკრეტული ინიციატივები, როგორცაა: მითითება, მოთხოვნა, რჩევა, ახსნა-განმარტება, რეკომენდაცია არ უნდა ჩაითვალოს მოსამართლის აცილების საფუძვლად, რადგან მსგავსი საქმიანობის მიზანი არა რომელიმე მხარისადმი მიკერძოებული დამოკიდებულება, არამედ, დავის სამართლიანი და პრინციპილი გადაწყვეტაა. იმ შემთხვევაში თუ მხარე სამართლებრივად არაკომპეტენტურია და არ აყენებს შუამდგომლობას, მოსამართლე ავალდებულებს კანონმდებლობა გააკეთოს ასეთი ტიპის სამართლებრივი განმარტება. მითითების მიცემა არ წარმოადგენს მისი როგორც დაინტერესებული მხარის მდგომარეობას. პირიქით ის აუცილებლობას წარმოადგენს და კრიტიკას არ იმსახურებს.

„დემოკრატიული საზოგადოებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ნდობას სასამართლო სისტემისადმი.“^{48,49} ამასთან,

⁴⁷ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 42-ე პარაგრაფის თანახმად, მოსამართლის მიკერძოებულობა მისი აცილების საფუძველია. German Code of Civil Procedure – (ZPO) Zivilprozessordnung <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html>.

⁴⁸ CASE OF DRIZA v. ALBANIA, EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS, Application no.

⁴⁹ /02, 13 November 2007, § 74.

„მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა განხორციელდეს, არამედ უნდა იკვეთებოდეს, რომ განხორციელდა.“⁵⁰

იმ კონკრეტულ ვითარებაში, როდესაც მოსამართლე პირდაპირ უთითებს მხარეს, რომელი თავდაცვის საშუალება გამოიყენოს - მოთხოვნის შეცვლაზე, გაფართოებაზე, სხვა პირის წინააღმდეგ ან სხვა პირთან ერთად პროცესის გაგრძელებაზე, ან ისეთ საპირისპირო უფლებაზე, როგორცაა ხანდაზმულობა. ასეთი ტიპის ქმედება ითვლება და ჩათვალა კიდევ ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ აცილება დასაბუთებულად, რომელიც გადაწყვეტილებაში გადმოსცა კიდევ: „მოსამართლეს არა აქვს უფლება მიუთითოს დამოუკიდებელი, ცალკე კანონიერი საფუძვლის მქონე შეტევის და თავდაცვის საშუალებების გამოყენებაზე“. ასევე ფრანკფურტის მიწის უზენაესი სასამართლოს ქმედება ერთ-ერთი გადაწყვეტილებით, მოსამართლე მიკერძოებულად ჩაითვალა შემდეგი საფუძვლით: „სასამართლოს უფლება არ აქვს მხარეს დაეხმაროს მოთხოვნის არსებით დასაბუთებაში და ამით შეჯიბრებითობის პრინციპი დაარღვიოს“⁵². შტეფან შმიდტს თავის ნაშრომში⁵³ მოხმობილი აქვს მსგავსი გადაწყვეტილებები. გერმანიის 2001 წლის რეფორმით იმდენად გაიზარდა მოსამართლის ქმედითობა, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევასაც. ამ პრინციპისა და რეგულაციის გათვალისწინებით ქართველი მოსამართლეები სამოქალაქო სამართალწარმოებაში განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებიან. კემოდ, სატელეფონო კომუნიკაციას მხარეებთან არ ახორციელებენ. დავის მონაწილეებს აძლევენ უფლება მათი საქმე განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ. წინამდებარე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციიდან (სამართლიანი

⁵⁰ CASE OF MICALLEF v. MALTA, EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS, Application no.

⁵¹ /06, 15 october, 2009, § 98.

⁵² ფედერალური უმაღლესი სასამართლო NJW 2004, 164; ასევე, მიწის უზენაესი სასამართლო ფრანკფურტი NJW 1970, 1884, ნაშრომიდან: შმიდტი შ., გერმანიაში სამოქალაქო სამართალწარმოებისას სასამართლო კომუნიკაციის მნიშვნელობა, გერმანულიდან თ. ბერიშვილის თარგმანი, სამართლის ჟურნალი N1, 2018, 353.

⁵³ იქვე, 355.

სასამართლო განხილვის უფლება)⁵⁴. შეჯიბრებითობის, მხარეთა თანასწორობისა და სამართლიანი სასამართლო უფლების განხორციელების პრინციპი ითვალისწინებს, რომ სამართალწარმოების მონაწილეებმა მიიღონ ინფორმაცია მოწინააღმდეგე მხარის ფაქტებისა და არგუმენტების შესახებ და დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია. მოსამართლე მაქსიმალურად ნეიტრალურად ცდილობს მხარეების მორიგებას. პროცესის მონაწილეებს არ უნდა შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ მოსამართლე მიკერძოებულია და რომელიმე მხარის პოზიციას იზიარებს. როგორც სამოსამართლო ეთიკის კოდექსითაა გათვალისწინებული მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს გაამჟღავნოს თავისი განწყობა საქმეში მონაწილე რომელიმე მხარის მიმართ.⁶³ ეთიკურად მიუღებელია მოსამართლის მხრიდან, კოლეგებთან ან ოჯახის წევრებთან გარკვეული სახის კონტაქტი მის მიერ განსახილველ საქმესთან დაკავშირებით. მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპის გათვალისწინებით მოსამართლე საქმეში მონაწილე ყველა მხარის მიმართ თანაბრად მიუკერძოებელი და ობიექტური უნდა იყოს. გამორიცხულია რომელიმე მხარისათვის რაიმე უპირატესობის მინიჭება ან მისი უფლებების რაიმე ფორმით დაკნინება.

2.2.2. მიუკერძოებელი სასამართლო და ბანგალორის სამოსამართლო ქცევის პრინციპები

ბანგალორის ქცევის პრინციპებში დაცულია მოსამართლეთა ეთიკური ქცევის სტანდარტები. მასში მოცემულია სასამართლო უფლებამოსილების ჯეროვნად განხორციელების საფუძველები. აღნიშნული პრინციპებით მოსამართლეები ვალდებული არიან იყონ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი. პრინციპების თანახმად, მოსამართლეს ევალება საკუთარი სამართლებრივი საქმიანობა განახორციელოს ფავორიტიზმის, მიკერძოების, ან წინასწარი

⁵⁴ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 6. ⁶³ საქართველოს სამოსამართლო ეთიკის კოდექსი, მუხლი 21.

განწყობის გარეშე. მისი მხრიდან უზრუნველყოფილი უნდა იქნას, ჩამოცილების მიზეზების მინიმუმამდე დაიყვანა. იმ შემთხვევათა რიცხვის მინიმალიზორება, როდესაც ხდება მისი ჩამოცილება საქმის განხილვისას. როგორც აღინიშნა მოსამართლის ქცევა კონტროლირებადია, როგორც სასამართლოში, ასევე მის გარეთაც. პრინციპების ამოსავალი წერტილი მიუკერძოებლობაა, რომელიც აპრიორია სასამართლო უფლებამოსილების ჯეროვნად განხორციელებაში. იგი თვის მხრივ ვრცელდება არა მხოლოდ გადაწყვეტილებაზე, არამედ ასახვას პოულობს ასევე პროცესზეც, რომლის შედეგადაც ფორმირდება გადაწყვეტილება.

⁵⁵ ბანგალორის ქცევის პრინციპებით ქართველი მოსამართლეებიც ხელმძღვანელობენ. მაგალითისათვის შეგვიძლია გამოვიყენოთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი განჩინება. აღნიშნული განჩინებით მოსამართლემ თვითაცილება განაცხადა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილით, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ იგი მონაწილეობდა საქმის პირველი ინსტანციით განხილვაში და მიმდინარეზე ვერ მიიღებდა მონაწილეობას სააპელაციო ინსტანციის ეტაპზე მის განხილვაში. განჩინებაში მოხმობილია ასევე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი,⁵⁶ ასევე „სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების მიხედვით, მოსამართლემ თვითაცილება უნდა მოითხოვოს ნებისმიერი საპროცესო მოქმედების განხორციელებისაგან, რომელიც შესაძლოა გონივრულ ეჭვს იწვევდეს, რომ მოსამართლეს საკითხის გადაწყვეტა მიუკერძოებლად არ შეუძლია.“⁵⁷

⁵⁵ „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და მისი კომენტარები, GIZ, თბილისი, 2015. <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/mosamartleta.qcevis-wes2.pdf>>

⁵⁶ კონვენციის 6.1 მუხლის მიზნებისათვის, სასამართლოს მიუკერძოებლობის დადგენისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მარტო აღნიშნულ საქმეზე კონკრეტული მოსამართლის შინაგანი რწმენა და მოქმედება, არამედ ისიც, მოსამართლე უზრუნველყოფს თუ არა საკმარის გარანტიებს იმისათვის, რომ გამოირიცხოს ყოველგვარი ეჭვი. მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება გულისხმობს უფლებას ობიექტურ, მიუკერძოებელ და ნდობით აღჭურვილ სასამართლოზე.

⁵⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 7 ივნისის მოსამართლის თვითაცილების შესახებ განჩინება საქმეზე №3ზ/270-19.

განსახილველი პრინციპების მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის გათვალისწინებით მოსამართლეს უკრძალავს მის განხილვაში მყოფ საქმეზე, ან მომავალში მის განსახილველ დავაზე კომენტარის გაკეთებას, რათა არ შიზღალოს პროცესის აშკარა სამართლიანობა.

თავი III

3.1 შეჯიბრებითობის პრინციპიდან კანონმდებლობით

გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევა

3.1.1. სასამართლოს აქტიურობის ფარგლები საოჯახო-სამართლებრივი დავების განხილვისას

ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში საოჯახო საქმეთა განხილვის ინსტიტუტი განსხვავებულად რეგულირდება და უფლების დაცვის სხვა სასარჩელო ფორმებით გამოირჩევა. საოჯახო-სამართლებრივი დავები განსაკუთრებული სენსიტიური ხასიათის მატარებელია. დავების განხილვისას მოსამართლეები დიდი სიფრთხილით ცდილობენ მიიღონ ობიექტური, სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილება. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბავშვის ინტერესს და მის უფლებას. გადაწყვეტილებების მიღებისას გათვალისწინებულია მათი მოსაზრებები სრულად. ინკვიზიციური სამართალწარმოების ნიშნები სწორედ ასეთი ტიპის დავებში გვხვდება. რადგან მოსამართლე ყველა გზას მიმართავს მიიღოს ოპტიმალური გადაწყვეტილება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ბავშვისა და ოჯახის ინტერესები.

სამძებრო პრინციპი საოჯახო საქმეების განხილვის დროს უფრო ფართოდ გამოიყენება ვიდრეს, სხვა ტიპის დავებში. სასამართლოს, საოჯახოსამართლებრივ დავის თავისი ინიციატივით ახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს საქმის სწორად გადაწყვეტას, კერძოდ:

იგი უფლებამოსილია მტკიცების საგანის განსაზღვრაში, კერძოდ დაადგინოს გარემოებათა წრე; საკუთარი შეცხედულებისამებრ შეუძლია გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზეც მართალია მხარეებს არ ჰქონიათ მოთხოვნაში

საუბარი, მაგრამ მათ კონკრეტული ფაქტების დადგენაში დიდი მნიშვნელობა აქვს.⁵⁸

სსსკ-ის მე4 მუხლის მე-2 ნაწილისა და 354-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოსამარლეს ენიჭება ფართო უფლებამოსილება. არ დაკომაყოფილდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, თავისი ინიციატივით განსაზღვროს მტკიცების საგანი, რათა მოხდეს საქმეზე ობიექტური შედეგის მიღება. ამდენად, 354-ე მუხლი სპეციალური ნორმაა და მას უპირატესი ძალა ენიჭება 103-ე მუხლით გათვალისწინებულ ზოგად ნორმასთან მიმართებაში.

ამდენად, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, განქორწინებისა და ალიმენტის გადახდევინების საქმეებზე, სასამართლომ თავისი შეხედულებისამებრ უნდა დაადგინოს მონაწილეობს თუ არა მოპასუხე შვილების რჩენაში. იმ შემთხვევაში თუ მოპასუხე არ ასრულებს ამ ვალდებულებას, 355-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას მიიღოს დროებითი განკარგულების სახით.

საინტერესოა, საოჯახო-სამართლებრივი დავები დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თვალსაზრისითაც. ზოგადი წესის თანახმად, სასამართლო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას არ აფასებს არც საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და არც საქმეს ფაქტობრივი თვალსაზრისით. ფაქტობრივი გარემოებები დადგენილად მიიჩნევა მხარის გამოუცხადებლობის გამო. პროცესზე გამოუცხადებლობისას, ივარაუდება, რომ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, ან მოპასუხემ ცნო სარჩელი და ამით დაკარგა თავდაცვის ინტერესი. საინტერესოა, რამდენად სწორია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა საოჯახო დავების განხილვისას და ხომ არ ეწინააღმდეგება ინკვიზიციურობის პრინციპის დებულებებს.

საოჯახო დავებში მოსარჩელის ან მოპასუხის გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების აღიარებას. ეს

⁵⁸ ბასილაია ფ., საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი და დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მართლმსაჯულება და კანონი, N4(23)'09, 31.

სწრიდ მისი განმასხვავებელი ნიშნითაა გა განპირობებულია. სასამართლოს თავად ევალეზა გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზეც მხარეებს არ მიუთითებიათ. ამდენად სასამართლო გამოუცხადებელი მხარის გარეშე განიხილავს საქმეს, გამოითხოვოს მტკიცებულებებს, და ყველა მტკიცებულების მოპოვების შედეგად გამოიტანოს არსებითი გადაწყვეტილება და არა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ეს შეიძლება პრინციპების კოლაფსად არ იქნას განხილული. ყოველივე დავის სპეციფიკითაა განპირობებული.

თუმცა სასამართლომ მოპასუხე არ უნდა გააფრთხილოს პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შესაძლო შედეგებზე. ამდენად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო დავის ნებისმიერ ინსტიტუტზე ვრცელდება, მათ შორის საოჯახო დავებზეც.

ამდენად, როგორც ზემოთ გავნიხილეთ საოჯახო საქმეებში შეჯიბრებითობის პრინციპის პარალელურად, სასამართლოს პროცესის მატერიალური ხელმძღვანელობის უფლებამოსილება აქვს მინიჭებული. ამ კატეგორიის დავებში, მოქმედებს შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპები, თუმცა, მათ პარალელურად, ზომიერების ფარგლებში უნდა იქნას გამოყენებული სამძებრო, ანუ ინკვიზიციური პრინციპიც.⁵⁹

⁵⁹ გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013, 159.

თავი IV

4.1.1 სასამართლოთა ოფიციალური სტატისტიკა მორიგებით დასრულებულ დავებთან მიმართებაში

თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმეთა წარმოების განსაკუთრებული ინტენსიურობისა და მოსამართლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, სამართლებრივი დავები განიხილება ვიწრო სპეციალიზაციით. 2018 წლის 4 მაისიდან თბილისის სააპელაციო სასამართლო საქმეთა კატეგორიების მიხედვით განიხილვას აწარმოებს.⁶⁰ ოფიციალური სტატისტიკის გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოში შემოსული და მორიგებით დასრულებული დავების მონაცემები შემდეგია: 2016 წელს 11 667 სამოქალაქო საქმიდან⁶¹ მორიგებით დასრულდა 2450 (მათ შორის 238 საოჯახო) დავა.⁶² 2017 წელს 21 837 სამოქალაქო საქმიდან მორიგებით დასრულდა 3 266 (მათ შორის 294 საოჯახო) დავა, ხოლო 2018 წელს შემოსული 33 152 სამოქალაქო საქმიდან⁶⁴ მორიგებით დასრულდა 3 587 (მათ შორის 221 საოჯახო) დავა. ბოლო სამი წლის მონაცემებით შემოსული საქმეთა რაოდენობა ყოველ წელს თბილისის საქალაქო სასამართლოში, დაახლოებით 10 000-ით იზრდება, ხოლო მორიგებით დასრულებული დავების რაოდენობა საგრძნობლად ნაკლებია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოში საოჯახო-სამართლებრივი დავების⁶⁵ ჯამური რაოდენობა და მორიგებით დასრულებული საქმეების რიცხოვნობა

⁶⁰ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/175 გადაწყვეტილება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ.

⁶¹ <<http://oldtcc.court.ge/index.php?m=534&newsid=179>>

⁶² თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 24 მაისის ოფიციალური წერილი N2-
⁶³ /3007324.

⁶⁴ <<http://tcc.gov.ge/ka/Statistics>>

⁶⁵ საოჯახო-სამართლებრივი დავები თბილისის სააპელაციო სასამართლოში განიხილება შემდეგი კატეგორიების მიხედვით: 1) მეუღლეთა განქორწინების თაობაზე; 2) ქორწინების ბათილად ცნობის

შემდეგია: 2016 წელს შემოსული 1 647 საქმიდან (სააპელაციო საჩივარი) საოჯახო-სამართლებრივი დავა იყო 145, საიდანაც მორიგებით დასრულდა 18 საქმე. 2017 წელს 2 113 საქმიდან (სააპელაციო საჩივარი) საოჯახო-სამართლებრივი დავა იყო 154, აქედან მორიგებით დასრულდა 20 საქმე, ხოლო 2018 წელს 2 915 საქმიდან (სააპელაციო საჩივარი) საოჯახო-სამართლებრივი დავა 183 იყო, საიდანაც მორიგებით დასრულდა 22 საქმე.⁶⁶

სააპელაციო სასამართლოში შემოსული საქმეების რაოდენობა საგრძნობლად დაბალია, შესაბამისად დაბალია შეთანხმებით დასრულებული დავების რაოდენობაც. ფაქტებითა და სტატისტიკით დასტურდება, რომ სასამართლოს უმეტესად უწევს არსებითი გადაწყვეტილების გამოტანა.

რაც შეეხება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური სტატისტიკის:⁶⁷⁶⁸⁻ 2016 წელს მორიგებით დასრულდა 9 სამოქალაქო საქმე (მათ შორის 1 საოჯახო-სამართლებრივი დავა) და 1 ადმინისტრაციული დავა. 2017 წელს მორიგებით დასრულდა 9 სამოქალაქო საქმე (მათ შორის 2 საოჯახო-სამართლებრივი დავა) და 2 ადმინისტრაციული დავა, ხოლო 2018 წელს მორიგებით დასრულდა 20 სამოქალაქო საქმე (მათ შორის 2 საოჯახო-სამართლებრივი დავა) და 2 ადმინისტრაციული დავა. ზემოხსენებული მონაცემებით შეიმჩნევა ტენდენცია საქმის მორიგებით დასრულების. რაც შეჯიბრებითობის პრინციპის მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

სტატისტიკური მონაცემებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ მორიგებით დასრულებული დავების რაოდენობა ბოლო წლების განმავლობაში სასამართლო სისტემაში, როგორც პირველ ინსტანციაში, ასევე სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საკმაოდ დაბალია. ეს კონკრეტული კი ცალკეულ ღონისძიებებს მოითხოვს.

შესახებ; 3) ბავშვის შესანახად აღიშენების გადახდევინების შესახებ; 4) მამობის დადგენის შესახებ; 5) მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ; 6) სხვა სახის დავები.

⁶⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ოფიციალური სტატისტიკა.

⁶⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის ოფიციალური წერილი N3-

⁶⁸ -19.

მაგალითისთვის გერმანიაში გატარებული რეგულაციებიც გამოგვადგება (განხორციელებული რეგულაციების გათვალისწინებით⁶⁹) მნიშვნელოვანი ფაქტორია ზეპირი განხილვა, ვინაიდან სწორედ ამ გზით მიიღწევა მხარეთა შორის მორიგების შეთანხმება. ყოფილი ფედერალური მოსამართლის - რაინჰარდ გრეგორის მიხედვით, გერმანიის ფედერაციის მასშტაბით სამოქალაქო სამართალწარმოებიდან მხოლოდ 40% დასრულდა გადაწყვეტილებით, ხოლო 60% მორიგების, სარჩელის უკან გამოთხოვის, აღიარების ან საქმის თავად მოგვარების გზით.⁷⁰ როგორც ვხედავთ, საქართველოში დავის კონსესუალურად მოგვარების მაჩვენებელი საგრძნობლად დაბალია. მოცემული პრობლემის გამოსწორების მიზნით, მოსამართლეები უნდა შეეცადონ ჩანიშნონ ზეპირი განხილვა, რადგან ამ დროს მორიგებისათვის მხარეთა მხრიდან მზაობა წერილობით პროცესთან შედარებით 27%-ით მაღალია.⁷² ამასთან, საჭიროა გაანალიზდეს, რომ სამშვიდობო გარიგება ყოველთვის სასურველ გამოსავალს წარმოადგენს დროის, შედეგის, რესურსებისა და პასუხისმგებლობის კუთხით.

⁶⁹ იხ. სქოლიო 13.

⁷⁰ შმიდტი შ., გერმანიაში სამოქალაქო სამართალწარმოებისას სასამართლო კომუნიკაციის მნიშვნელობა, გერმანულიდან თ. ბერიშვილის თარგმანი, სამართლის ჟურნალი N1, 2018,

⁷¹ .

⁷² იქვე, 350.

თავი V

5.1. ინკვიზიციური სამართალი და მისი გავლენა უცხოურ სამართალში

5.1.1 ანგლოამერიკული პროცესი და მისი მახასიათებლები

სამართლის წყაროს ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში სამოსამართლო სამართალი, ე.ი. პრეცედენტული სამართალი წარმოადგენს. „პრეცედენტი“, იურიდიულ დოქტრინაში საქმეზე ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას ნიშნავს. ცალკეული სამართლებრივი სისტემები პრეცედენტს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით განიხილავენ.⁷³ საერთო სამართლის პრეცედენტული პრაქტიკა მეტად კომპლექსურია და ამასთანავე მრავლი მომცველი. პრეცედენტს სავალდებულო ძალა გააჩნია და ამას საერთო სამართლის პრაქტიკა გვიჩვენს.

სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას მსგავსი პრიორიტეტულობის მქონე საქმეზე ადრე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, მას რამდენად სამართლიანად მიაჩნია არსებული. პრეცედენტული პრაქტიკა დაკავშირებულ და განხილულ საქმეთა ერობლიობას წარმოადგენს.⁷⁴ „სასამართლოს გადაწყვეტილება პრეცედენტად მოიაზრება მხოლოდ მას შემდეგ, რაც კონკრეტული სამართლებრივი შემთხვევის გამო მიღებული გადაწყვეტილება საფუძვლად დაედება მომავალში ანალოგიური, მსგავსი შემთხვევის გადაწყვეტას“. ასეთი ტიპის პრეცედენტებს აქვთ მხოჭავი ძალა, ხოლო ზემდგომ გადაწყვეტილებებს უპირატესი ძალა გააჩნიათ ქვემდგომი პრეიუდიციების მიმართ. ისინი სავალდებულო ძალია მატარებელი არიან, მიუხედავად იმისა ეს გადაწყვეტილებები სამართლიანად მიაჩნია თუ არა ქვემდგომ სასამართლოს. ამ

⁷³ Sanchirico C. W., Procedural Law and Economics, Encyclopedia of law and Economics, second edition, Vol. 8, Published by Edward Elgar, Cheltenham, UK, Northampton, MA, USA, 2012, 21, (keep to what has been decided previously).

⁷⁴ Sanchirico C. W., Procedural Law and Economics, Encyclopedia of law and Economics, second edition, Vol. 8, Published by Edward Elgar, Cheltenham, UK, Northampton, MA, USA, 2012, 21.

გადაწყვეტილებებში მოცემული წესები მანამდეა მზლუდავი ვიდრე ისინი არ გაუქმდება. გაუქმება კი მხოლოდ ზომდგომი სასამართლოს პრეორგატივია. იგი იცვლება მხოლოდ ახალი გადაწყვეტილებით ან კანონით. სასამართლოს ასევე თავისუფლდება ადრე მიღებული გადაწყვეტილებისგან, როდესაც ახალ სამოსამართლო სამართალი დგინდება. მსგავსი ტიპის გადაწყვეტილებებს წინასწარ განსაზღვრული სტატუს სავალდებულობის არ გააჩნია. თუმცა, ეს სისტემები, დიდ როლს თამაშობენ პრეცედენტულ პრაქტიკასის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, მას სახელმძღვანელო ფუნქცია გააჩნია.

პრეცედენტული პრაქტიკა საერთო სამართლის სისტემისთვის დიდად განსხვავდება.⁷⁵ ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემა მამოძრავებელ ფუნქციას კაზუსტიკა წარმოდგენს, რომელზე დაყრდნობითაც ზემდგომი სასამართლო იღებს გადაწყვეტილებებს. ზემო ხსენებულ პროცესში ოპონენტები ერთმანეთის წინააღმდეგ გამოდიან დაპირისპირებული პრინციპების გამოყენებით. შეჯიბრებითობის პრინციპი როგორც ასეთი დიდ განვითარებას საქმეთა განხილვის ეტაპზე ვერ პოულობს. წინასწარ რთლია იმაზე მსჯელობა მხარეთა მიერ მოსამართლის მიერ ადვოკატთა მხრიდან წარმოდგენილ მტკიცებულებათა შერჩევის სტანდარტი რამდენად შეესაბამება შეჯიბრებითობის პრინციპის ფარგლებში.⁷⁶ ამ სახის დავებში, სასამართლოს მონაწილეობის შესაძლებლობა სტრუქტურულად შემდეგი მიმდინარეობით წარმოგვიდგება:

- სასამართლო არის ნეიტრალური და პასიური, რაც ნაკლებად ახასიათბე გერმანულ-რომანულ სამართლებრივ სისტემას. მისი როლი მხოლოდ საქმე გადაწყვეტილებამდე მიიყვანაშ;
- მხარეები წარმართავენ საქმეს, მტკიცებულებების და არგუმენტების სახით;
- ორივე მხარეს აქვს თანასწორია. არ ეზღუდებათ შესაძლებლობა, საქმე წარუდგინოს სასამართლოს და დააფიქსიროს საკუთარი არგუმენტები;

⁷⁵ Sanchirico C. W., Procedural Law and Economics, Encyclopedia of law and Economics, second edition, Vol. 8, Published by Edward Elgar, Cheltenham, UK, Northampton, MA, USA, 2012, 26.

⁷⁶ Asimow M., Popular Culture and the Adversary System, 40 Loy. L.A. L. Rev, 2007, 653.

- კონკრეტული მოლაპარაკებების ანუ საქმის განხილვის ეტაპზე ვლინდება ერთმანეთის საპირისპირო მტკიცებულებები.

ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში დიდ მონაპოვრად მიაჩნიათ მხარეთა ესოდნე დიდი დამოუკიდებლობა სასამართლოს ჩარევის გარეშე წარმოადგინონ თავიანთი საქმე და მტკიცებულებები, ვინაიდან პროცესის გადაწყვეტაში დაინტერესებულ მხარეს მხოლოდ მონაწილე სუბიექტები წარმოადგენენ და არა სასამართლო. „სასამართლომ უნდა დაუშვას, უტყუარად უნდა ცნოს ყველა მტკიცებულება, რომელიც მხარეთა პოზიციას ამტკიცებს“.⁷⁷ ასეთი ტიპის დავების მნიშვნელოვნებას იმით ადასტურებენ, რომ სასამართლო უნდა იყოს დამოუკიდებელი. მოსამართლე თუ აქტიურად ჩაერთვება საქმის გამოკვლევაში, შეუძლებელი იქნება გადაწყვეტილება მიიღოს მიუკერძოებლად. სასამართლო მაქსიმალურად პასიური უნდა იყოს, ასევე ცალკეული განმარტებების მიცემისას. რათა არ წარმოიშვას გარკვეული უნდობლობა.

ანგლო-ამერიკული სამართლის ოჯახის ასეთი ტიპის პროცესი განსაკუთრებულ მნიშვნელობას მოსამართლის მიუკერძოებლობას ანიჭებს და კონტინენტური ევროპის პროცესის უარყოფით მხარედ მიიჩნევა. მოსამართლის რაიმე სახით ჩარევა გარკვეული ეჭვის საბაზია იმისა, რომ მას გარკვეული ინტერესი გააჩნია საქმესთან დაკავშირები. ეს ფაქტი კი ამ ტიპის სისტემისთვის ყოვლად მიუღებელი.

ანგლო-ამერიკული პროცესისთვის ძირითად დებულებას წარმოადგენს არა ჭეშმარიტი და ობიექტურ სიმართლე, არამედ სამართლიანი პროცესი, რომელიც სამართლებრივ შედეგებამდე მიდის.

ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემაში დამკვიდრებული აზრის მიხედვით ინგლისის სასამართლო სისტემა ახორცილებს მკაცრ ზედამხედველობას და კონტროლს პროცესისთვის სათანადო მომზადებაზე. ამ უკანასკნელს მითითებების, ჯარიმების და სხვა საშუალებების გამოყენებით აკონტროლებს. „Notice Pleading“ ე.წ. სასამართლო დავის წინასწარი წარმოება შეჯიბრებითი ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მხარეები მეტად მოემზადებიან

⁷⁷ Levin A., Shuchman P., Yablon Ch., cases and materials on civil procedure, New York, 1997, VIII237.

პროცესისთვის, მოიძიებენ საჭირო ინფორმაციას და მტკიცებულებებს სხვა ან მესამე პირებისაგან.⁷⁸

ბრიტანულ საპროცესო სამართალში ერთგვაროვანი პრაქტიკა ჩამოყალიბდა 2008 წლის ლორდათა პალატის გადაწყვეტილების (Re B (A Child)) მიღების შემდგომ. მტკიცების სტანდარტის -„ალბათობათა ბალანსის” ამ პრინციპს ბრიტანელი მოსამართლეები გადაწყვეტილებებში იყენებენ „უფრო დიახ, ვიდრე არა”-ს (more likely, than not) პრინციპთან ერთად.⁷⁹ ჩამოთვლილი პრინციპები გულისხმობს, რომ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები მოსამართლისათვის უფრო ვარაუდის შემცველია, ვიდრე მტკიცების.

ბრიტანული სამართლისაგან განსხვავებული ფორმები გვხვდება ამერიკის შეერთებული შტატების სამართლებრივ სისტემაში. აშშ-ს მტკიცებითი სამართალი აღიარებს არა მხოლოდ სასამართლოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ გაკეთებულ განცხადებებს. მოსამართლე იმ წყაროებზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებას, რომლებიც სასამართლოს დარბაზში არაა გაკეთებული. ესენია: ანდერძის, დღიური და სხვადასხვა ხასიათის პირადი ჩანაწერები.⁸⁰

⁷⁸ Glasser C., Civil Procedure and the Lawyers – The Adversary System and the Decline of the Orality Principle, May, 1993, p. 324.

⁷⁹ The balance of probabilities, ნაშრომიდან: ამილახვარი თ., მტკიცების ტვირთი საერთო სამართლის ქვეყნებში, სტატიათა კრებული, მტკიცებითი სამართლის აქტუალური საკითხები, ნუნუ კვანტალიანის რედაქტორობით, თბილისი, 2016, 8.

⁸⁰ იქვე, 11.

5.1.2. კონტინენტურ-ევროპული და ანგლოამერიკული სამართალწარმოების შედარება

კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის ჩამოყალიბებასა და განხვითარებაში დიდი გავლენა იუსტინიანე I-ის corpus Juris Civilis-მა იქონია.⁸¹ სამართლებრივ დავებში სასამართლო აქტიურ მოთამაშედ გვევლინება. მოსამართლე პროცესს სარჩელის შეტანიდან წარმართავს. ანგლო-ამერიკული სამართლის პროცესისგან განსხვავებით, მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას მოწმეთა დაბარების და თავადვე განსაზღვრავს პრიორიტეტებს. მხარეები მონწილეობენ საქმის ვითარებას დადგენაში, რის საფუძველზეც სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. სასამართლო საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას საკითხების დადგენა-დაზუსტებაში. მოსამართლემ სამართლებრივ მითითებას აძლევს გამორჩენილი და წინასწარი წერილობითი განხილვისას დამუშავებული ფაქტების შესახებ.⁸² მაგალითისთვის, ფრანგული საპროცესო სამართალი გამოდგება, სადაც მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესი მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებშია გადმოცემული. სამოქალაქო სამართალწარმოებაში პროცესუალური ინიციატივა მხარეებზეა გადაცემული. საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლი მიუთითებს ზოგადი წესზე, რომლის თანახმადაც, ყოველი მხარეს აქვს ფაქტების მტკიცების ვალდებულება, რომელზედაც ამყარებს თავის მოთხოვნას მოწინააღმდეგე მხარის მიმართ. ამავე კოდექსის მე-11 მუხლი უთითებს, რომ სასამართლომ და დავის მონაწილე მხარეებმა ურთიერთ თანანმშრომლობით შეაგროვონ მტკიცებულებები ასევე სასამართლო უფლებამოსილია შუამდგომლობის საფუძველზე მხარისაგან ან მესამე პირისაგან მოითხოვოს მტკიცებულებათა წარმოდგენა. საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით მხარე ვალდებულია გადასცეს მტკიცებულებები მეორე მხარეს გასაცნობად, ამ

⁸¹ ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2015, 268.

⁸² ბოელინგი ჰ., სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, მოსამართლეთა სემინარი, სასტუმრო „თბილისი“, ბაკურიანი, 5-8 ივლისი, 2007, 156.

ვალდებულებების შეუსრულებლობა კი ითვალისწინებს სანქციას ჯარიმის სახით. როგორც ავლნიშნეთ, საფრანგეთის კანონმდებლობით მკაცრად რეგლამენტირებულია წმინდა შეჯიბრებითი პროცესთან, და მიუხედავად ამისა გარკვეული ხარვეზი მაინც შეიმჩნევა. კერძოდ, მოსამართლე მაინც ერევა მტკიცებულებათა შეგროვების კუთხით და გარკვეული სანქციების სახით, რაც გარკვეულწილად ხელს უშლის სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში.⁸³

კონტინენტური ევროპის სამართალსა და ანგლო-ამერიკულ სამართალს შორის არსებით განსხვავება პოზიტიურ ე.წ. (დაწერილ) კანონმდებლობის სახით ვლინდება. იგი მოიაზრება, როგორც სამართლის ძირითადი წყარო. სახელმძღვანელოს ანგლო-ამერიკული სამართალში წარმოადგენს სამოსამართლო სამართალი და კანონის სამართალი. ამდენად, სამართლის ძირითადი წყაროს პრეცედენტული სამართალი წარმოადგენს ანგლო-ამერიკულ სამართალში კონტინენტური ევროპის სამართლისგან განსხვავებით. მისთვის უცხოა ისეთი კოდიფიცირებული აქტები, როგორც სამოქალაქო კოდექსები.⁸⁴ როგორც უკვე ვისაუბრეთ კონტინენტურ ევროპასა და ანგლო-ამერიკული სამართლის ოჯახებს შორის დიდი და სტრუქტურული განსხვავებაა. მეორე და მნიშვნელოვან განსხვავებას იურიდიული და მეთოდოლოგიური განსხვავება წარმოადგენს. რომის სამართალის გავლენა დიდია კონტინენტური ევროპის სამართალზე, რაშიც დიდი წვლილი არაერთ სამართალშემოქმედს მიუძღვის. სწორედ ამიტომაც კონტინენტური ევროპის იურიდიულ აზროვნებას მეცნიერული სტილი გაყვება წითელ ხაზად. როგორც ისინი გადმოგვცემენ: „სამართალი არის მართლწესრიგისა და სამართლიანობის ხელოვნება”⁸⁵ - ამ სიტყვებით იწყება რომაული სამოქალაქო

⁸³ გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, გამომცემლობა „მერიდიანი”, თბილისი, 2013, 130.

⁸⁴ ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2015, 271.

⁸⁵ რომში „*ius est ars boni et aequi*”, დიგესტები, 1,1,1. – რომაული სამოქალაქო სამართლის კრებული (*corpus juris civilis*), გამოცემული 533 წ. იმპერატორ იუსტინიანეს დროს, წიგნიდან: ციპელიუსი, რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, თბილისი, 2009, 11. ¹⁴⁴ ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2015, 270.

სამართლის კრებული. ანგლო-ამერიკულისთვის კი სამოსამართლო სტილია დამახასიათებელი. (country court).¹⁴⁴

დასკვნა

საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული და დაცული შეჯიბრებითობის და მხარეთა თანასწორობის პრინციპის მიუხედავად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა შეიცავს ე.წ. ინკვიზიციური სამართალწარმოების ნიშნებსაც. ასევე მოიაზრებს მოსამართლის ინიციატივის შესაძლებლობასაც ქართული მართლმსაჯულებაში მეტწილად ეს გერმანული საპროცესო კანონმდებლობის გავლენითაა განპირობებული. თუმცა, მიუხედავად სისტემური და შინაარსობრივი გახილვისა ცალკეულ შემთხვევაში იკვეთება მნიშვნელოვანი ხარვეზებიც. საქმის წარმოების პროცესში მოსამართლის უფლებამოსილება და ქმედებებიც სცილდება პასიური არბიტრის ჩარჩოს და გადადის აქტიურ ფაზაში. აქ ჩნდება კითხვა რამდენადაა ეს ორი პრინციპი - მხარეთა შეჯიბრებითობისა და სასამართლოს აქტიურობის პროპორცია ერთმანეთთან თანხვედრაში. რა დოზით არის შესაძლებელი მათ ურითეირთქმედება საქმის განხილვისას.

ნაშრომში განხილულია გერმანიაში უახლეს პერიოდში განხორციელებული რეგულაციების მნიშვნელობა და მის გავლენა მოსამართლის საქმიანობის საზღვრებზე. რამდენად მოითხოვს აღნიშნული საკითხი გადახედვას. რადგან არსებული პრინციპები განსხვავებულ რეგულაციას და მიდგომას ითხოვს. კვლევის საფუძველზე ნათლად გამოჩნდა ცალკეული ხარვეზები. რომელიც ხელს უშლის ამა თუ იმ საქმეზე გარკვეულ წილად კანონშესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას. რამდენად გამომიდნარეობს შემდეგ ეს კანონოერი გადაწყვეტილებები განასხილველი პრინციპებიდან. კვლევის შედეგებმა ნათლად დაგვანახა შემდეგი ასპექტები:

პროცესი დაყრდნობილი უნდა იყოს შეჯიბრებითობის პრინციპზე, თუმცა, სასამართლოს როლი იმ ფარგლებით უნდა განისაზღვოს რომ არ დაირღვეს დისპოზიციურობის პრინციპი. საკითხი, უნდა გადაწყდეს შეჯიბრებითობისა, მხარეთა თანასწორობის და სასამართლოს აქტიურობის პრინციპებს შორის ზომიერი ბალანსის დაცვით. სწორედ ეს ბალანსი უზრუნველყოფს მხარეების

უფლებების სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლების განსაზღვრას. „სასამართლოს ექნება ნეიტრალური და ნომინალური როლი საქმის გარემოებების გამოკვლევაში.“⁸⁶

ამასთან, მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მოწინავე ადგილი უნდა დაიკავოს პრაქტიკამ და არა მხოლოდ კანონებმა, ანუ კანონები ამ მხრივ პრაქტიკის დახვეწა, რომელიც თავის მხრივ სხვა უკვე გამოცდილი სამართლის რეცეფციასაც გულისხმობს. პრინციპებით ხელმძღვანელობა, მართებული პრაქტიკა და ამ კანონების სწორი გამოყენება საძირკველია იმ მართებული სამართლებრივი საზოგადოების, რომელში ყოფნაც ყველა სამართალშემოქმედისთვის მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს. „მნიშვნელოვან აუცილებელობას წარმოადგენის კანონმდებლობის სიცხადე, სიმარტივე, და სამართლებრივ რეალობაში ადვილად გამოსაყენებელი. აუცილებელია მატერიალურ კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები კარგად მომზადდეს.“⁸⁷ სასურველია გაიზარდოს მორიგებით დასრულებული დავების რიცხვი, რაც ერთმნიშვნელოვნად გაზრდის სასამართლოსადმი ნდობის ხარისხს. კომუნიკაციის საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 278-ე პარაგრაფის მე-5 აბზაცი ფორმულირება ქართულ კანონმდებლობაში გადატანა ამის წინაპირობას წარმოადგენს. კერძოდ, წარუმატებელი მორიგების შემთხვევაში, მიკერძოებულობისა და არაობიექტურობის ფაქტორით ხანგრძლივ მორიგებებს განიხილავს სპეციალური მოსამართლე, რომელიც სხვა სამართლებრივი დავების განხილვაში არ მონაწილეობს.

⁸⁶ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 09 ივნისის განჩინება საქმეზე №2ბ/550-14; ასევე, გუჯაბიძე ნ., მოსამართლის როლი შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპის კონტექსტში, მტკიცების ტვირთის გადანაწილება, პრეზენტაცია, თბილისი, 2017.

⁸⁷ სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებები (მე-2 რედაქცია), მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ), სამოსამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის ცენტრის მმართველი ჯგუფი (CEPEJ-SATURN), CEPEJ (2014)16¹, სტრასბურგი, 12 დეკემბერი, 2014, 5.

ნაშრომში საუბარია, ანგლო-ამერიკული სისტემის, კონტინენტური, ისე ქართულ სამართლებრივ სისტემებზე. ამერიკული და ევროპული გამოცდილებით სასამართლოს უნდა გააჩნდეს მექანიზმები, რომელიც საშუალებას მისცემს საქმეზე განახორციელოს აქტიური კონტროლი „სასამართლოს მიერ მხარეებზე კონტროლის დაკარგვა აუცილებლად იწვევს პროცესის ინერტულობას.“⁸⁸, რაც დღევანდელ რეალობაში არ ხდება და იწვევს პროცესის გაჭიანურებას. ამასთან, საქართველოში კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმის განხილვის ვადები საკმაოდ მჭიდროდ შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან რთულია ამ ვადებში ჩატევა და საქმის სრულად და ამომწურავად განხილვა.

მოსამართლეთა ეთიკური ქცევის სტანდარტების გატარებით, სასამართლოებმა გადადგან გონივრული ნაბიჯები და შექმნან გარკვეული პრევენდენტი იმ მექანიზმების და პრინციპების სამოსამართლო პრაქტიკაში გატარების, რომელსაც ქცევის ბანგალორის პრინციპები ჰქვია.

დასკვნის სახით, სახელმძღვანელო შეჯიბრებითობის პრინციპის მკაცრი დაცვა გააძნელებს საქმეზე სწორი გადაწყვეტილების გამოტანას თანამედროვე ქართული სამართ ღერივი დოქტრინა გარკვეულ „ზომიერ“ ლავირებას მოითხოვს. შესაბამისად, რადგან ქვეყანა გლობალური განვითარების პროცესშია ჩართული სამართლებრივმა რეგულაციებმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები უნდა განიცადონ. ეს თავის მხრივ გარკვეული მიდგომების გადახედვასაც გულისხმობს. თანამედროვე სისტემა სასამართლოსგან უფრო მეტ აქტიურობას მოითხოვს. იგი არამხოლოდ მხოლოდ არბიტრის როლში უნდა გეველინებოდეს, არამედ აქტიურად უნდა ჩაერთოს გარემოებების გამოკვლევაში ყოველგვარი მიკერძობებისა და სუბიექტური დამოკიდებულების გარეშე. დღევანდელ რეალობაში ბევრი საკითხი რჩებას აუხსნელი და დაუდგენელი რაც ეწინააღმდეგება სამართლიანობის არსს.

⁸⁸ ABA Standards Related to Court Delay Reduction, ციტირებულია ნაშრომიდან: საქმეთა ნაკადის მართვა და საქმისწარმოების დაჩქარება სასამართლოებში, ძირითადი პრინციპების მოკლე მიმოხილვა, თბილისი, 2010, 9.

ბიბლიოგრაფია

ქართულენოვანი ლიტერატურა

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. შ. ქურდაძე, ნ ხუნაშვილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი 2015;
2. ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა, თბილისი, 2007;
3. ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი, 2014;
4. გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013;
5. ბოელინგი ჰ., სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდთა, მოსამართლეთა სემინარი, სასტუმრო „თბილისი“, ბაკურიანი, 5-8 ივლისი, 2007;
6. ჰერმანი თ., მტკიცებულებითი სამართალი (კონსპექტი), ეთერ ჩაჩანიძის თარგმანი, GIZ, თბილისი, 2016. ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2015;
7. ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა, თბილისი, 2005;
8. საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოს მოსამართლეთათვის, თბილისი, 2010;
9. ჩაჩანიძე ე., ზოდელავა თ., გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., კომუნიკაცია სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, 2013;
10. ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, თბილისი, 2009, მეათე გამოცემა;

11. აკადემიური მაცნე, სამართალი N4, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2015;
12. „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და მისი კომენტარები, GIZ, თბილისი, 2015;
<<http://www.supremecourt.ge/files/uploadfile/pdf/mosamartleta.qcevis-wes2.pdf> >
13. შმიტი შ., რიჰტერი ჰ., მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2013. შმიტი შ., შულცი კ., მომრიგებელი მოსამართლე, GIZ, 2019.;
14. სამოქალაქო სამართალწარმოების აქტუალური საკითხები, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, 2012;
15. საქმეთა ნაკადის მართვა და საქმისწარმოების დაჩქარება სასამართლოებში, ძირითადი პრინციპების მოკლე მიმოხილვა, თბილისი, 2010;
16. ყანდაშვილი ი., ტურაზაშვილი გ., სახელმძღვანელო პროფესია ადვოკატის შესახებ, GIZ, თბილისი, 2018;
17. კორკელია ვ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საკონსულტაციო იურისდიქცია: ევროპული სასამართლოსა და ეროვნული სასამართლოების თანამშრომლობის პერსპექტივები და გამოწვევები, ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა, სტატიათა კრებული, თბილისი, 2018;
18. სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებები (მე-2 რედაქცია), მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ), სამოსამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის ცენტრის მმართველი ჯგუფი (CEPEJ-SATURN), CEPEJ (2014)¹⁶, სტრასბურგი, 12 დეკემბერი, 2014;
19. სტატიები შმიდტი შ., გერმანიაში სამოქალაქო სამართალწარმოებისას სასამართლო კომუნიკაციის მნიშვნელობა, გერმანულიდან თ. ბერიშვილის თარგმანი, სამართლის ჟურნალი N1, 2018;
20. ბასილაია ფ., საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი და დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მართლმსაჯულება და კანონი, N4(23)'09. მერებაშვილი ი., სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას მხარეთა შეჯიბრებითობისა

და მოსამართლეთა აქტიურობის პრინციპების მოქმედება, მართლმსაჯულება და კანონი, N4(23)'09;

21. ამილახვარი თ., მტკიცების ტვირთი საერთო სამართლის ქვეყნებში, სტატიათა კრებული, მტკიცებითი სამართლის აქტუალური საკითხები, ნუნუ კვანტალიანის რედაქტორობით, თბილისი, 2016;
22. ყიფშიძე შ., სამოსამართლო სამართალი, როგორც სამართლის წყარო, (სამართლებრივი პრობლემების გადაჭრა და სამართლის განვითარება), სამართლის ჟურნალი N1, 2018.

გადაწყვეტილებები:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 07 ივნისის მოსამართლის თვითაცილების შესახებ განჩინება, საქმეზე №38/270-19
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 25 მაისის განჩინება საქმეზე №28/1017-18.
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 20 ივნისის განჩინება საქმეზე №28/6856-17.
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 04 ივლისის განჩინება საქმეზე №28/362-16.
5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 თებერვლის განჩინება საქმეზე №28/5970-15.
6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მარტის განჩინება საქმეზე №28/6112-15.
7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 დეკემბრის განჩინება საქმეზე №28/5327-16.
8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №28/104 -15.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 09 ივნისის განჩინება საქმეზე №2ბ/550-14.
10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2ბ/4025-13.
11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 31 დეკემბრის განჩინება საქმეზე №2ბ/5905-13.
12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 17 აპრილის განჩინება საქმეზე №ა-1014-შ-31-2019.
13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-1440-1360-2017.
14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 9 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1243-1166-2015.
15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 07 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-483-457-2015.
16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-471-450-2015.
17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 1 აპრილის განჩინება საქმეზე №ბს-612-590(კ-13).
18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-1651-1548-2012.
19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-86-82-2013.
20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1350-1275-2012.
21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-750-704-2012.
22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1278-1298-2011.

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-941-979-2011.
24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-833-885-2011.
25. BARTAIA V. GEORGIA, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ბართაია საქართველოს წინააღმდეგ, სტრასბურგი, 2018 წლის 26 ივლისი, საჩივარი N10978/06.

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997;
2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-
3. 48, 31/12/1997
4. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33,
5. 24/08/1995.
6. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/175 გადაწყვეტილება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ.
7. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი,
8. German Code of Civil Procedure - (ZPO) Zivilprozessordnung, <https://www.gesetze-iminternet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html>.
9. საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, Code de procédure civile/Legifrance,
10. <<https://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000006070716>>
- 7.საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, French Civil Code, http://www.napoleonseries.org/research/government/code/book1/c_title09.html

11. 8. საქართველოს სამოსამართლო ეთიკის კოდექსი. მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები.
12. 9. ბავშვის უფლებების საერთაშორისო კონვენცია.
13. 10. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენცია.

სხვა წყაროები:

- <http://tcc.gov.ge/ka/Statistics>
- <http://gil.mylaw.ge/ka/term/55185.html>
- <http://gil.mylaw.ge/ka/term/54139.html>
- <http://oldtcc.court.ge/index.php?m=534&newsid=179>
- <https://legal-dictionary.thefreedictionary.com/summary+judgment>
- დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს პრეზიდენტის, ულრიხ ჰაგენლოხის საჯარო ლექციის ტრანსკრიპტი თემაზე: მოსამართლის დამოუკიდებლობა, თბილისის სააპელაციო სასამართლო, 3 ივნისი, 2014 წ.
- <<http://tbappeal.court.ge/?news=234&mc=2>>
- თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 24 მაისის ოფიციალური წერილი N2-04103/3007324. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ოფიციალური სტატისტიკა.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის ოფიციალური წერილი N3-864-19.

ინგლისურენოვანი ლიტერატურა:

1. Landsman S., A Brief Survey of the Development of the Adversary System, Ohio State Law Journal, Vol. 44, 1983.
2. Glannon J., Civil procedure, 1987
3. Glasser C., Civil Procedure and the Lawyers – The Adversary System and the Decline of the Orality Principle, May, 1993.
4. Levin A., Shuchman P., Yablon Ch., cases and materials on civil procedure, New York, 1997.
5. Steven Baicker-McKee, William M. Janssen, John B.Corr, A student's guide to the Federal Rules of Civil Procedure, St, Paul, Minn, West Publishing Co, 1997.
6. Parisi F., Rent-Seeking Through Litigation: Adversarial and Inquisitorial Systems Compared, International Review of Law and Economics, Vol. 22, No. 2, August 2002.
7. Asimow M., Popular Culture and the Adversary System, 40 Loy. L.A. L. Rev, 2007. Weiden D. L., Judicial Politicization, Ideology, and Activism at the High Courts of the United States, Canada, and Australia, Journal: Political Research Quarterly, Vol. 64, June, 2011. <<https://booksc.xyz/book/42033093/4d8f2d>>
8. Solanke I., „Stop The ECJ?: An Empirical Analysis of Activism at the Court”, European Law Journal, Vol 17, No 6, November 2011.
9. Sanchirico C. W., Procedural Law and Economics, Encyclopedia of law and Economics, second edition, Vol. 8, Published by Edward Elgar, Cheltenham, UK, Northampton, MA, USA, 2012.
10. Steinberg J. K., Adversary Breakdown and Judicial Role Confusion In “Small Case” Civil Justice, GWU Law School Public Law Research Paper No. 2016-13, 2016.
11. OVERVIEW OF THE CASE-LAW OF THE EUROPEAN COURT OF HUMAN
12. RIGHTS, Published by wolf Legal Publishers (WLP), Council of Europe – European Court of Human Rights, 2018.
13. <<https://www.echr.coe.int/Pages/home.aspx?p=caselaw/analysis/overview>>

14. ALI/UNIDROIT Principles of Transnational Civil Procedure; As adopted and Promulgated by The American Law Institute At Washington, D.C., U.S.A. May 2004 and by UNIDROIT At Rome, Italy; Information on this title: www.cambridge.org/9780521855013

უცხოენოვანი გადაწყვეტილებები:

1. Republique francaise, Cour D'appel de Colmar, Tribunal de grande instance de Colmar, Deuxieme Chambre Civile, Jugement du juge aux affaires familiales, 21 mars, 2016, N°RG: 15/02299 N°IIJ : 161771.
2. CASE OF MANDET v. FRANCE, EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS,
3. Application no. 30955/12, 14 January, 2016.
4. CASE OF PERUZZI v. ITALY, EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS,
5. Application no. 39294/09, 30 June 2015.
6. CASE OF MICALLEF v. MALTA, EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS,
7. Application no. 17056/06, 15 october, 2009.
8. CASE OF DRIZA v. ALBANIA, EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS,
9. Application no. 33771/02, 13 November 2007.
10. CASE OF STEEL AND MORRIS v. THE UNITED KINGDOM, EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS, Application no. 68416/01, 15 February 2005.

რუსულენოვანი ლიტერატურა:

Нормативные правовые акты:

1. Конституция Российской Федерации: принята всенародным голосованием 12 декабря 1993 г. (с поправками от 21 июля 2014 г.) // Российская газета – 1993. – 25 декабря;
2. Гражданский процессуальный кодекс Российской Федерации от 14 ноября 2002 г. № 138-ФЗ (с последующими изменениями и дополнениями) // Собрание законодательства РФ. – 2002. – № 46. – Ст. 4532;
3. Арбитражный процессуальный кодекс Российской Федерации от 24 июля 2002 г. № 95-ФЗ (с последующими изменениями и дополнениями) // Собрание законодательства РФ. – 29.07.2002. – № 30. – Ст. 3012;
4. Кодекс административного судопроизводства Российской Федерации от 08 марта 2015 г. № 21-ФЗ (с последующими изменениями и дополнениями) // Собрание законодательства РФ. – 2015. – № 10. – Ст. 1391;
5. Уголовно-процессуальный кодекс Российской Федерации от 18 декабря 2001 г. N 174-ФЗ (с последующими изменениями и дополнениями) // Собрание законодательства РФ. – 2001. – № 52 (ч. I). – Ст. 4921;
6. Федеральный конституционный закон от 21 июля 1994 г. № 1-ФКЗ (ред. от 28.12.2016) "О Конституционном Суде Российской Федерации" // Собрание законодательства РФ. – 1994. – № 13. – Ст.1447;
7. Федеральный конституционный закон от 28 апреля 1995 г. №1-ФКЗ (ред. от 15.02.2016) "Об арбитражных судах в Российской Федерации" // Собрание законодательства РФ. – 1995. – № 18. – Ст. 1589;
8. Федеральный закон «О внесении изменений и дополнений в Гражданский процессуальный кодекс РСФСР» от 30 ноября 1995 г. № 189ФЗ // Собрание законодательства Российской Федерации. – 1995. – № 49. – Ст. 4696;

Постановления высших судебных инстанций и материалы юридической практики:

1. Определение Конституционного Суда РФ от 16 января 2007 г. № 330-О «Об отказе в принятии к рассмотрению жалобы гражданки Михайлович Дианы Ивановны на нарушение ее конституционных прав положением части второй статьи 159 Гражданского процессуального кодекса Российской Федерации» [Электронный ресурс] – СПС «Консультант Плюс»;
2. Постановление Пленума Верховного Суда РФ от 31 октября 1995 г. № 8 (ред. от 03.03.2015) «О некоторых вопросах применения судами Конституции Российской Федерации при осуществлении правосудия» // БВС РФ. – 1996. – №1;
3. Постановление Пленума Верховного Суда РФ от 03 октября 2017 г. № 30 О внесении в Государственную Думу Федерального Собрания Российской Федерации проекта федерального закона «О внесении изменений в Гражданский процессуальный кодекс Российской Федерации, Арбитражный процессуальный кодекс Российской Федерации, Кодекс административного судопроизводства Российской Федерации и отдельные законодательные акты Российской Федерации». [Электронный ресурс] / URL: <http://www.vsrp.ru/files/24030/> (Дата обращения: 14.05.2018);
4. Определение Верховного Суда РФ от 26 сентября 2017 г. № 77 – КГ 17-13. URL: http://vsrf.ru/stor_pdf.php?id=1587046;

Литература:

1. Аброськина, Е.И., Шубина, О.Л. Принцип состязательности в арбитражном процессе: теория и практика / Е.И. Аброськина, О.Л. Шубина // Арбитражные споры. – 2008. – №1. – С. 75 – 81;
2. Азарёнок, Н.В. Обусловленность состязательности в уголовном процессе / Н.В. Азарёнок // Российский юридический журнал. – 2013. – № 4 (91). – С. 142 – 145. 15. Акулиничева, О. С. Конституционный принцип состязательности и равноправия сторон при осуществлении правосудия / О.С. Акулиничева // Молодой ученый. – 2015. – № 4. – С. 441 – 443.
3. Алексеев, А.А. Предпосылки активного поведения суда в отечественном гражданском процессе / А.А. Алексеев // Российская юстиция. – 2017. – № 7. – С. 41.
4. Алиэскеров, М.А. Реализация целевых установок состязательного гражданского процесса в правовом социальном государстве / М.А. Алиэскеров // Lex russica. – 2017. – № 12. – С. 54 – 67.
5. Афанасьев, С.Ф. Проблемы истины в гражданском судопроизводстве. / С.Ф. Афанасьев. – Саратов, 2009. – 197 с.
6. Бавина, А.А., Бутузова, Н.Д., Новоженина, И.В. Принцип судебной истины и принцип состязательности в арбитражном и гражданском процессе. / А.А. Бавина, Н.Д. Бутузова, И.В. Новоженина // Успехи в химии и химической технологии. – 2017. – №7. – С. 10 – 13.
7. Бархатова, Е.Ю. Комментарий к Конституции Российской Федерации (постатейный) / Е.Ю. Бархатова. – 2-е изд., перераб и доп. – М.: Проспект, 2015. [Электронный ресурс] – СПС «Консультант Плюс».

8. Боннер, А.Т. Избранные труды: в 7 т. Т. III. Принципы гражданского процессуального права. Применение нормативных актов в гражданском процессе. / А.Т. Боннер. – М.: Проспект, 2017. – 794 с.
9. Большой юридический словарь / Под ред. А. Я. Сухарева. 3е изд., доп. и перераб. – М.: ИНФРА-М, 2009 – 836 с.
10. Васьковский, Е.В. Курс гражданского процесса: Субъекты и объекты процесса, процессуальные отношения и действия. (Классика гражданского процесса.) / Е.В. Васьковский; под ред. Д.Х. Валеева – М.: Статут, 2016. – 259 с.
11. Ветрова, Г.Н. Субсидиарное обвинение и принцип состязательности / Г.Н. Ветрова // Известия Алтайского государственного университета. Юридические науки. – 2017. – №3 – С. 30 – 34.
12. Воронов, А.Ф. Принципы гражданского процесса: прошлое, настоящее, будущее / А.Ф. Воронов. – М.: Городец, 2009. – 496 с.
13. Гражданский процесс: Учебник. 5-е изд., перераб. и доп. / Под ред. М.К. Треушников. – М.: Статут, 2014. – 830 с.
14. Гражданский процесс: Учебник. 9-е изд., доп. и перераб. / Под ред. В.В. Яркова. – М., 2014. – 562 с.
15. Гражданский процесс зарубежных стран: Учеб. пособие / Под ред. А.Г. Давтяна. – М.: Проспект, 2008. – 428 с.
16. Гражданский процесс: Курс лекций. / Под ред. Викут М.А., Зайцева И.М. – М.: Юрист, 2006. – 187 с.
17. Гражданский процесс России: Учебник / Под ред. М.А. Викут. – 2-е изд., перераб. и доп. – М., 2005. – 459 с.
18. Гражданское процессуальное право: Учебник / Под ред. М.С. Шакарян. – М., 2004. – 376 с.

19. Гражданский процесс. Общая часть: Учебник / Под ред. Г.Л. Осокина – 3-е изд., перераб. – М.: Норма: ИНФРА-М, 2013. – 740 с.
20. Грегер, Р. Возможности и пределы участия суда в сборе доказательств / Р. Грегер // Вестник Арбитражного суда Московского округа. – 2016. – № 2. – С. 30 – 38.
21. Грешнова, Н.А. Принцип состязательности в российском праве: теоретико-правовой анализ / Н.А. Грешнова // Вестник Волгоградской академии МВД России. – 2013. – № 3. – С. 12 – 16.
22. Гук, В.А. Закрепление принципа состязательности и равноправия сторон в нормах, регулирующих гражданское судопроизводство / В.А. Гук // Юридическая наука и правоохранительная практика. – 2016. – №3. – С. 25 – 30.
23. Пучинский, В.К. Гражданский процесс зарубежных стран / В.К. Пучинский; под ред. В.В. Безбаха. – М.: Зерцало, 2008. – 370 с.
24. Жуйков, В.М. Принцип состязательности в гражданском судопроизводстве / В.М. Жуйков // Российская юстиция. – 2006. – №6. – С 24 – 28.
25. Жуйков, В.М. Судебная реформа: проблемы доступа к правосудию / Жуйков В.М. – М.: Статут, 2006. – 152 с.
26. Исаенкова О.В., Бабарыкина О.В. Влияние российского менталитета на оценку доказательств в гражданском судопроизводстве / О.В. Исаенкова, О.В. Бабарыкина // Арбитражный и гражданский процесс. – 2007. – № 7. – С. 16 – 19.
27. Кладова, С.Ю. О принципе состязательности сегодня / С.Ю. Кладова // Перспективы развития науки и образования: сборник научных трудов по материалам международной научно-практической конференции 28 сентября 2012 г. Часть 13. – Тамбов: ООО «Консалтинговая компания Юком», 2012. – С. 56 – 60.
28. Крусс, В.И. Конституционализация права: основы теории: монография. / В.И. Крусс. – М.: НОРМА: ИНФРА-М, 2016. – 240 с.

29. Кряжков, В.А., Лазарев Л.В. Конституционная юстиция в Российской Федерации. Учебное пособие / В.А. Кряжков, Л.В. Лазарев. – М.: БЕК, 1998. – 238 с.
30. Лазарев, В.В. Теория государства и права: учебник для академического бакалавриата / В. В. Лазарев, С. В. Липень. – 5-е изд., испр. и доп. – М.: Юрайт, 2015. – 271 с.
31. Никитина, И.В. Диалектика развития принципа состязательности в российской юридической науке / И.В. Никитина // Юридическое образование и наука. – 2007. – №1. – С. 10 – 14.
32. Носенко, Л.И. Принципы гражданского процесса: к вопросу о значимости / Л.И. Носенко // Вестник Оренбургского государственного университета. – 2012. – № 3. – С. 148 – 151.

Диссертации и авторефераты диссертаций:

- 1 Глазунова, И.Н. Влияние римского права на становление и развитие континентальной и англосаксонской правовых систем современности. Процессуальный аспект: автореферат дис. ... канд. юрид. наук. / И.Н. Глазунова. – Ставрополь, 2000. – 27 с.
2. Мукасева, С.А. Принцип состязательности в юридической практике: автореф. дис. ... к. ю. н. / С.А. Мукасева – Н. Новгород, 2006. – 31 с.
3. Самсонов, В.В. Состязательность в гражданском процессуальном праве : автореферат дис. ... к. ю. н. / В.В. Самсонов. – Саратов, 1999. – 25 с.
4. Виктор Момотов: учредительные процессы - самая прогрессивная форма производства наркотиков; Эдуард Кривцов Мнения 09.10.2019